# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 2010 წელი.

№159 (6525)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ორიოდე სიტყვა რუსეთზე...



რუსეთი უნდა ხედავდეს იმასაც, რომ სამაგიეროდ საქართველოში არც ერთ რუსს თავიდან ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდნია, საყვედურის არც ერთი სიტყვა არ მოუსმენია — მაშინაც, როდესაც რუსული ტანკები საქართველოში შემოვიდნენ და თბილისისკენ იყვნენ მომართული.

6-7

## ილუზია?!



## ბანკები — ქართული ეკონომიკისა და მოქალაქეთა მყვლეფავენი!!!

2

## მომავალს დაფინანსება უნდა, ბატონებო, დაფინანსება!

3





## მომავალი საქართველო უწინარესად ქართველთა სიმრავლეა

7

## დრო და ხელოვანი



## გიორგი შენგელაიას წარმომავლობა არ ასვენებს

2

## სადამდე უნდა ვირტყათ პატრიოტულად მჯილი?!

4



თბილისის ქუჩებიდან გარემოვაჭრეთა ცემა-ტყეპით გაყრამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ რამდენად შორს არის საქართველოს ხელისუფლება ამ ერთობ სერიოზული პრობლემის გონივრული გადაწყვეტისაგან.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ლუკაშენკო სააკაშვილის ბილიკით წავა?

5

## აფხაზეთს რუსეთისთვის პლაჟების გადაცემა არ სურს

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◉ ილუზია?!

# ნოდარ ჯავახიშვილი: ბანკები ქართულ ეკონომიკასა და მოქალაქეებს გაუგებრად ყვლეფენ

**რატომ ნიშნავს ეკონომიკური ზრდის აქტივობას ის, რომ თუკი ფული ვიშოვე, ბიზნესში დაბანდების ნაცვლად, ბანკში შემაქვს იგი?!**

**ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში მიმდინარე წლის ივლისში საბანკო დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელმა გასული წლის ამავე თვის მაჩვენებელს 44 პროცენტით გადააჭარბა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის ბოლო სხდომაზე კმაყოფილებით აღნიშნა, დეპოზიტები ამჟამად 9,9 მილიარდ ლარს აღემატება, რაც ქვეყნის ისტორიაში რეკორდულად მაღალი რიცხვია. გილაურმა ეს მონაცემები, სხვა ეკონომიკურ პარამეტრებთან ერთად, იმის საილუსტრაციოდ დაასახელა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა იზრდება.**

**არის თუ არა საბანკო დეპოზიტების ზრდა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი? — ამ და სხვა საკითხებზე „მედიანიუსი“ საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს ესაუბრა.**



**— ბატონო ნოდარ, რამდენად სანდოა ეს მაჩვენებელი და რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის დეპოზიტების რაოდენობის ასეთი სერიოზული ზრდა?**

— რიცხვების რეალობის შეფასება ნამდვილად არ შემიძლია, რადგან ეს ჩემთვის გადაუმოწმებელი ინფორმაციაა. მაგრამ რა არის პრემიერ-მინისტრის აზრით ამაში სასიხარულო? რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი კარგია თუ ცუდი, მას ამაზე უნდა ელაპარაკა, რადგან მაღალი რიცხვების არსებობა ყოველთვის კარგს არ ნიშნავს. დეპოზიტების ზრდა ნამდვილად არ არის ეკონომიკური აქტივობა. ესაა მუთაქაში (ანუ, ამ შემთხვევაში, ბანკში) შენახული ფული. თუ ეკონომიკური აქტივობა იზრდება, მაშინ ბანკებში გაცემული სესხების რაოდენობაც კატასტროფულად უნდა იზრდებოდეს. თუ ვინმეს ფული აქვს ჯიბეში, მას ბიზნესის გასაფართოებლად ან ახლის წამოსაწყებად უნდა აბანდებდეს. დღეს კი საქართველოში ვიღაცა ფულს შოულობს და იმის ნაცვლად, რომ ბიზნესში დააბანდოს, ბანკში შეაქვს. **ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ვიღაცას ფული აქვს, ამ ხელისუფლების შიშით ვერსად დაუბანდებია იგი და ურჩევნია, ბანკში ჰქონდეს.** ცხადია, ეს არ არის პურის ფულის გადანახვა, რადგან ამ გაჭირვებულ ქვეყანაში 1 მილიონ 800 ათასი ადამიანი ღატაკია და ყოველდღიური არსებობის ფულს როგორც კი იშოვის, მაშინვე ხარჯავს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთი შემოსავლიდან მეორე შემოსავლამდე ცხოვრობს. შესაბამისად, ასეთ ხალხს ბანკში დეპოზიტი ვერ ექნება.

**— რა უნდა მოჰყოლოდა დეპოზიტების ზრდას?**

— დეპოზიტების 44 პროცენტით მატება იმას ნიშნავს, რომ ბანკების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 44 პროცენტი ხომ ხუმრობა არ არის? **ეს, ფაქტობრივად, ნახტომია და ამას საბანკო პროცენტების 20 პროცენტით შემცირება მაინც უნდა მოჰყოლოდა.** თუკი ბანკებს რესურსები, ანუ მიწოდება გაეზარდა, რატომ არ უნდა დაეცეს მისი ფასი მნიშვნელოვნად?! თორემ რაღაცას კი ლაპარაკობენ, ცოტათი შევამცირეთო. თუ მათ ნათქვამს გადავამოწმებთ, საბოლოოდ, ისიც ტყუილი აღმოჩნდება. რატომ ნიშნავს ეკონომიკური ზრდის აქტივობას ის, რომ თუკი ფული ვიშოვე, ბიზნესში დაბანდების ნაცვლად, ბანკში შემაქვს იგი?! **აი, ამაზე უნდა ილაპარაკოს პრემიერ-მინისტრმა. აბა, სადღაც რაღაც რიცხვს რომ „გამოთხრის“, ასე კი არაა საქმე...**

რა, დეპოზიტების ზრდამ საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლით მსოფლიო დონეზე აგვიყვანა?

**— ბატონო ნოდარ, ბოლო ხანს ქვეყანაში რამდენიმე ბანკის ფილიალები დაიხურა, იკლო კლიენტთა რაოდენობამაც...**

— და როგორ ესადაგება ეს ყველაფერი ეკონომიკის ზრდის აქტივობას? ეს და ზემოთ თქმული იმის საპირისპიროა, რასაც ესენი ლაპარაკობენ.

**— სახელისუფლებო წრეებში იმასაც ხშირად აღნიშნავენ, რომ საბანკო სექტორი აღმავლობის გზაზეა...**

— აღმავლობის გზაზე იქნება, რადგან ქართულ ეკონომიკასა და მოქალაქეებს გაუგებრად ყვლეფს. შარშან ინფლაცია „გამოიყვანეს“, სინამდვილეში კი, სერიოზული დეფლაცია უნდა გვქონოდა, მაგრამ **თუნდაც 3-პროცენტიანი ინფლაციის პირობებში, რატომ უნდა იყოს ამხელა საბანკო პროცენტები?** ბანკებმა დაიტოვეს ინფლაციური საქართველოს (წინა წლებს ვგულისხმობ) მაღალი პროცენტები და ხელფასებით და სხვა დანარჩენით იაპონურ და ამერიკულ ბანკებს ეჯიბრებიან. **როგორ შეიძლება, საქართველოში ბანკის ხელმძღვანელს ჰქონდეს წელიწადში 700 000 და 1 000 000 შემოსავალი?** როგორ ხდება ეს? — როგორ და, იქიდან, რომ გვატყავებენ, როგორც დანარჩენ სფეროებში. სანწავი, პური, საბანკო პროცენტი ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე უნდა ღირდეს.

**აქედან გამომდინარე, ბანკები ეკონომიკისა და მოსახლეობის გაღატაკების ხარჯზე მდიდრდებიან და ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი შეუჩერდებათ. ბანკებმა ასეთი წარამტებულები რომ არიან, გამოაქვეყნონ, რამდენი ფული მიაქვთ სახლში და მიხვდებით, რომ ისინი რაღაც გაუგებარი ოაზისებია.**

◉ დრო და ხელოვანი

**გადის დრო, რა გასაკვირია, დასტყობია ხანი გიორგი შენგელაიასაც...**

**— დამაკოჭლეს ექიმებმა, ვერ გამიკეთეს წესიერად მუხლზე ოპერაცია, ფეხს ძლივსღა ვადგამო, — ბუზღუნებს და კახურადაც „იკურთხება“...**

**ელდარისგან განსხვავებით, იერით, პირდაპირობით, გიორგი, მართლაც, უფრო კახეთისკენ, ანდრონიკაშვილებისკენაა... ამას ვეუბნები კიდეც...**

— მაშინ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც მხოლოდ ქართულ და ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებშია აღნუსხული და თქვენი გაზეთის მკითხველთა უმრავლესობამ, შეიძლება არც კი იცის. ანდრონიკაშვილები, ჩემო ვილენ, დავით აღმაშენებლის ქალიშვილის კატაის შთამომავლები არიან... დავით მეფეს პირველი ცოლისგან, რომელიც სომეხი იყო, მემკვიდრედ დარჩა დემეტრე, ხოლო მეორე ცოლისგან — ყივჩაღთა მთავრის ასულისგან — ორი ქალიშვილი — თამარი და კატაი. თამარი შირვანშაჰს გააყოლა, კატაი კი ბიზანტიის კომნენთა დინასტიის იმპერატორის იოანეს ძმას ისაკს. კატაის შეეძინა ერთადერთი ვაჟი ანდრონიკე, მოგვიანებით კომნენთა დინასტიის ბოლო იმპერატორი. როდესაც ბიზანტიაში მონასტერი აირია და კომნენებს აჯობეს ანგელოსებმა, ანდრონიკემ ცოლი და ორი შვილი — ალექსი და დავითი დედულეთში, საქართველოში გამოამგზავრა, თვითონ კი ანგელოსებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ანდრონიკეს ცოლ-შვილს კახეთში დახვდა მამულები, რომელიც მათ ბებოს — კატაის მემკვიდრეობით ეკუთვნოდა, ესენი იყო მელაანი, ფხოველი, ზიარი, არაშენდა, გურჯაანი, ვეჯინი, ბაკურციხე... ეს ადგილები გახდა საანდრონიკო და აქედან წამოვიდა კიდეც გვარი ანდრონიკაშვილი... დედაჩემიც მათი ჯიშისა იყო... ჰოდა, ჩემი წარმომავლობა რომ არ მასვენებს, ამიტომ „ვეტენები“ პოლიტიკაში (იცინის).

**— ამიტომაც დააფუძნეთ „საქართველოს ვაზის პარტია“ არა?**

— რა გასაკვირია, მოგეხსენებათ, ვაზი ერთ-ერთი სიმბოლოა საქართველოსი, ხოლო ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლა. იმხანად ეკონომიკური სიტუაცია უკიდურესად მძიმე იყო და მე პირადად გამოსავალს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში ვხედავდი, ოღონდ, ვთვლიდი, პოლიტიკური ორიენტაცია უნდა ყოფილიყო დასავლეთისკენ.

ბევრი არ მეთანხმებოდა, გამაკრიტიკეს, მათ შორის ვახტანგ ხმალაძემ (რომელსაც დიდ პატივს ვცემ დღესაცძ, გიორგი ბარამიძემ... მათ ვუპასუხე კიდეც ტელეეკრანიდან ცხონებულ გიორგი სანაიასთან ინტერვიუში... ვიღაცამ ისიც კი წამოროშა, გიორგი შენგელაია რუსეთის უშიშროებასთან არის კავშირშიო... მერე ისე მოხდა, რომ პარტიის დამფინანსებელიც ვერავინ ვიპოვეთ, იმიტომ რომ ყველას, ვისაც პოტენციურად შეეძლო ჩემი პარტიის დაფინანსება, ეშინოდათ არსებული ხელისუფლების, რომელიც წინააღმდეგი იყო რუსეთთან ნებისმიერი ურთიერთობისა. უფულოდ კი, ბუნებრივია, ვერ გავაგრძელე ჩემი პარტიის ნორმალური არსებობა...

გავიდა დრო და მივიღე გადაწყვეტილება, შევსულიყავი რესპუბლიკურ პარტიაში, რათა ხელისუფლების მიმართ ჩემი ოპოზიციური დამოკიდებულება აქედან გამომეხატა, ვთვლიდი, რომ სწორედ რესპუბლიკელები იყვნენ ნამდვილი ოპოზიციონერები, თუმცა მალე მივხვდი, არც აქ იყო ჩემთვის კომფორტული გარემო და 2009 წლის ცნობილ მიტინგებზე ისევ „ვაზის პარტიის“ სახელით გამოვდიოდი — ვეთანხმებოდი გიორგი გაჩეჩილაძის პოზიციას — ბოლომდე „მიწოლას“ და ამ ხელისუფლების დათხოვნას... მიტინგებში, მოგეხსენებათ, სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან ერთად მონაწილეობდა ირაკლი ალასანიაც თავისი პარტიით. მას განსხვავებული პოზიცია ჰქონდა — თვლიდა, რომ უნდა შეგვესუსტებინა დაწოლა, აგვეღო კარვები საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან... ამბობდა, გზები გავხსნათ, მოქალაქეებმა რომ თავისუფლად იარონო... მე ამ აზრს არ დავეთანხმე და გავაკეთე სპეციალური განცხადება, რომელიც ჩაიწერეს კიდეც სახელისუფლებო არხების ჟურნალისტებმა. აქ ვამბობდი, რომ კარვები უნდა დარჩეს, მთელი ოპოზიციის ლიდერი კი უნდა იყოს გიორგი გაჩეჩილაძე და არა ალასანია-მეთქი. სამწუხაროდ, ევროპელი კონსულტანტების და ჩვენი ხალხის ინერტულობის გამო ალასანიას პოზიციამ გაიმარჯვა, ტელევიზიის წინ კარვები აიღეს და აქედან დაიწყო კიდეც საპროტესტო აქციების უკან სვლა და საბოლოო დამარცხება.

ამის მერე მე პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია.

ახლა იწყება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ახალი ეტაპი, 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებია, მე აღარ ვაპირებ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას... ვთვლი, რომ ოპოზიცია დაშლილია... თანაც იქ ნინო ბურჯანაძეა...

ჩემი აზრით, სააკაშვილს დღეს სერიოზული ალტერნატივა აღარ ჰყავს... ინგლისის უდიდესი დედოფალი ელიზაბეტ I ამბობდა, ჩვენ, პოლიტიკოსები ვართ, როგორც მსახიობები სცენაზე, ჩვენს კაბაზე პატარა ლაქაც კი ჩანსო... მაშინ სააკაშვილს აჩნდა „ლაქები“, მერე და მერე კი ბევრი მიემხრო, მაგრამ სახელმწიფო მართვა თუ გინდა, უნდა იცხოვრო ჯეფერსონის, რუზველტის, ჩერჩილის მაგალითით, რომელთაც ხალხის ბედის გარდა არაფერი აინტერესებდათ... მე არ ვამბობ, რომ მიშას აქვს დადებითი ნიჭი, თუმცა უდავოდ ნიჭიერია. მისნაირები იყვნენ ფრანკო და პინოჩეტი, რომლებიც, სხვათა შორის, სააკაშვილივით ბევრს აშენებდნენ, მაგრამ ისტორიამ, საბოლოოდ, უარყო ისინი, რადგან დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

**— და მაინც, ვატყობ, რომ სააკაშვილის მიმართ ძველი პოზიცია შეცვლილი გაქვთ, რატომ?**

— ამაზე ხომ ვილაპარაკე ზემოთ? დღეს ოპოზიცია ფაქტობრივად დაშლილია, ამის მაგალითია ადგილობრივ არჩევნებზე ალასანიას ალიანსის დაშლა. მე სააკაშვილს ვაღიარებ დღეს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში პიროვნება არ ჩანს, რომელიც დააკმაყოფილებს იმ პირობებს, რაც მე ვთქვი ჯეფერსონის, რუზველტის და ჩერჩილის შესახებ... ეგება ის პიროვნება, მართლაც ბაზალეთის ტბის ძირას იმ აკვანშია, დიდი ილია რომ ნატრობდა?!.

**— ღმერთმა გისმინოთ!.. კარგით... პოლიტიკა პოლიტიკად... მე თუ მკითხავთ, ბრწყინვალე ქართველი მსახიობი და კინორეჟისორი გიორგი შენგელაია უფრო მაინტერესებს... რაზე მუშაობთ ამჟამად?**

— ჩემი მტკივანი ფეხის გამო მხატვრული ფილმის გადაღებას ამჯერად არ ვფიქრობ... თუ გახსოვთ, ამ ორი წლის წინათ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გავაკეთე ლიტერატურულ-მხატვრული გადაცემა — „ჰაჯი მურატი“ — ფილმი, რომელიც არ დაიდგა“. საზოგადოებამ იცის, რომ ამ თემაზე ფილმის დადგმა ვერ მოვახერხეთ, ვერც საბჭოთა ცენზურის და ვერც დასავლეთელ პროდიუსერებთან ფინანსური შეუთანხმებლობის გამო და ამიტომ მივეცი სატელევიზიო გადაცემების ფორმა, რითაც მე სავსებით დავკმაყოფილდი, მაყურებელმაც კარგად მიიღო, ბევრი მირეკავდა, ფაქტობრივად, ფილმი ვნახეთო... ჰოდა, ახლა ვაპირებ იმავე საზოგადოებრივ მაუწყებელზე ამ ტიპის გადაცემების გაკეთებას. ეს იქნება ფილმები ექვთიმე თაყაიშვილის, ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის პირად ცხოვრებაზე.

იმედი მაქვს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა მხარს დამიჭერს და სამივე გადაცემას (მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმებსძ ამ შემოდგომაზე ვნახავთ ტელევიზიით...

# გიორგი შენგელაიას წარმომავლობა არ ასვენებს



* * *

**კარგა ხანს ვისაუბრეთ, ძველი ამბები გავიხსენეთ (ჩვენი საერთო ძმა დათუნა მაჭავარიანიც არ დაგვვიწყებიაძ, გამაცნო თავისი უმცროსი ვაჟიშვილი გიორგი შენგელაია — ახალგაზრდა კინორეჟისორი, რომელსაც უკვე რამდენიმე საინტერესო პროექტი აქვს... ვდგები და ჩვენს სახელოვან კინორეჟისორს გამომშვიდობებისას ვეკითხები: — ელდარს თუ შეურიგდით?**

**— მაშ, კაცო!.. პირველმა მე დავურეკე, როგორც უფროს-უმცროსობის წესია... ცოტა ზედმეტი მომივიდა მაშინ, თუმცა საბაბი მქონდა: მე მიტინგებზე ხელისუფლებას ვაგინებდი და ჩემმა ძმამ სააკაშვილისგან ორდენი მიიღო... ამან გამაცხარა... ეეეე... ჩავლილი ამბავია...**

**— მაგას რა სჯობს... აბა, იცოცხლეთ!..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ინფორმაცია

## შესაძლოა, გაზის ფასმაც მოიმატოს

**რუსეთის მონოპოლისტი კომპანია „გაზპრომი“ 2012 წლისთვის ბუნებრივ აირზე ფასების ზრდას არ გამორიცხავს. ამ ფონზე გერმანიის კომპანიებმა უკვე განაცხადეს, რომ შემოდგომაზე, შესაძლოა გაზის ფასი გაიზარდოს.**

გაზპრომის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2012 წლისთვის ფასების ზრდა ეტაპობრივად მოხდება და კრიზისამდელ პერიოდს მიაღწევს.

გაზპრომის წარმომადგენელთა პროგნოზის გამართლების შემთხვევაში, გაზის ამჟამინდელი ღირებულება, სავარაუდოდ ორჯერ გაიზრდება.

გერმანიის გაზის მიმწოდებელი კომპანიები შემოდგომაზე ფასების 20%-ის ზრდას გეგმავენ. თუმცა რიგი კომპანიები ფასების 6,7%-ით შემცირებას აპირებენ.

მედვედევის განცხადებით, კომპანია ევროპის ბაზარში წილის 30%-მდე გაზრდას გეგმავს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ „არტეკის“ ფესტივალი

*ბავშვებზე ზრუნვა, მათთვის ნორმალური ყოფის, სწავლისა და დასვენების პირობების შექმნა თითოეული მშობლის, ყველა ოჯახისა და ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი და უზენაესი ამოცანაა, ვინაიდან ეს, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარებასა და მომავალზე ზრუნვას ნიშნავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2002 და 2007 წლების გენერალური ასამბლეის სესიების №31-ე და №62-ე გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც ბავშვთა ინტერესებს გამოხატავს, ასევე გაეროს მიერ გამოცხადებულ ბავშვთა ინტერესების დაცვას პლანეტაზე კულტურისა და ძალადობის გარეშე ათწლეულის გამოცხადებასთან დაკავშირებით, უკრაინის ინიციატივით 2001 წელს საერთაშორისო ცენტრ „არტეკში“ ყოველწლიური საერთაშორისო საბავშვო ფესტივალი „შევცვალოთ მსოფლიო უკეთესობისკენ!“ დაწესდა.*



# მომავალს დაფინანსება უნდა, ბატონებო, დაფინანსება!



„არტეკში“ გამართული საერთაშორისო საბავშვო ფესტივალის პროგრამა 12-14 დღეზეა გათვლილი, რომელიც დელეგაციების ჩასვლას, დაბინავებასა და ადაპტაციის პერიოდებს მოიცავს. წლეულს ფესტივალში საქართველოს დელეგაციაში სხვადასხვა სკოლის შვიდი მოსწავლე იყო, რომლებსაც დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელთან ერთად უკრაინის საელჩოს საინფორმაციო-კულტურულ ცენტრში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და რომელშიც მონაწილეობა ბავშვების მშობლებმა და ჟურნალისტებმაც მიიღეს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო საბავშვო ცენტრი „არტეკი“ უკრაინის ყველაზე დიდი გამაჯანსაღებელი ადგილია, რომელსაც „იუნესკოს ეგიდის ქვეშ მყოფი ცენტრის“ სტატუსი აქვს მინიჭებული.

უნდა ითქვას, რომ საბავშვო ფესტივალი „შევცვალოთ მსოფლიო უკეთესობისკენ“! უწინარესად, მიაპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას ბავშვთა მდგომარეობას; იძლევა ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარების საშუალებას; ხელს უწყობს ბავშვთა ინიციატივების სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებამდე მიტანას; სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა აზროვნების, პირადი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალების გამოვლენას და ა. შ.

უკრაინის საელჩოს საინფორმაციო-კულტურულ ცენტრში „არტეკის“ წლევანდელ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილე საქართველოს დელეგაციის ბავშვებთან გამართულ შეხვედრაზე უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა **ეკატერინე**



**ტკაჩენკომ,** კერძოდ, აღნიშნა:

— უკრაინის მთავრობის სახელით მადლობას მოგახსენებთ ფესტივალის მონაწილეებსა და ყველას, ვინც ხელი შეუწყო საქართველოს მასში მონაწილეობა მიეღო. განსაკუთრებით კი აფხაზეთის კულტურის სამინისტროს, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა თავის ორ მუსიკალური სკოლის მოსწავლეს, — თქვა პანი ტკაჩენკომ, — ჩვენ კვლავაც მზად ვართ, რომ მომავალშიც შევუწყოთ ხელი აღნიშნული პროექტის განხორციელებას, რაც კიდევ უფრო გაამყარებს არა მარტო უკრაინასა და საქართველოს შორის ორმხრივ ურთიერთობებს, არამედ ბავშვებს დაეხმარება საკუთარი პოტენციალის გახსნაში, ტოლერანტობის გრძნობისა და სხვა ხალხების კულტურებისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის გაღვივებაში. საქართველო ფესტივალს მხარს უჭერდა მისი დაარსების დღიდანვე, აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ თუ სადისკუსიო პროგრამებში და მუდამ მაღალი შედეგებს აჩვენებდა, რასაც უამრავი სიგელი და დიპლომი მოწმობს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შარშან „არტეკში“ შეიქმნა ბავშვთა ერთა ლიგა — საერთაშორისო ორგანო, სადაც თითოეულ ბავშვს თავისი აზრის გამოთქმის, საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება, ასევე უშუალოდ მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი მიმართვის შესაძლებლობა აქვს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ „არტეკი“ იუნესკოს ეგიდით ფუნქციონირებს და ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს პროგრამის განხორციელებაზეა ორიენტირებული.

შეხვედრის მოდერატორმა **ვალენტინა მარჯანიშვილმა** დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უკრაინის მთავრობა კვლავაც განაგრძობს პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა სამგზავრო ხარჯი, რომელმაც წლეულს ერთ ბავშვზე დაახლოებით 1000 ლარი შეადგინა, აუცილებლად საქართველოს მხარემ — მთავრობამ ან კერძო სექტორმა — უნდა იკისროს, რაც „არტეკის“ დებულებითაა გათვალისწინებული. სწორედ ამის გამო იყო, რომ წლეულს საქართველოდან ათის მაგივრად მხოლოდ შვიდი მოსწავლე წავიდა „არტეკში“, რომელთაგან აფხაზეთის მთავრობამ მხოლოდ ორი „თავისი“ ბავშვი დააფინანსა. ამიტომაც არის, რომ მრავალი ნიჭიერი ბავშვი იმთავითვე იჩაგრება, უგულებელყოფილია მისი უფლებები. ეს კი მით უფროა გულდასაწყვეტი, რომ „არტეკი“ შეიძლებოდა მათი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან, ნათელ ფურცლად დარჩენილიყო.

**ეკა დანელიამ,** რომელიც ორი წლის მანძილზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ხაზი გაუსვა იმას, რომ მის მოვალეობაში შედის ბავშვებისთვის, როგორც სახალხო დიპლომატებისთვის ხელშეწყობა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ღირსეულად წარმოაჩენენ სხვა, ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის ბავშვებთან ისეთ მნიშვნელოვან ადგილას, როგორიცაა „არტეკი“, ამასთან მიუთითა იმ სიძნელეებზე, რომლებსაც წლეულს წააწყდნენ.

— „არტეკში“ მარტო ბავშვები კი არა, არამედ დიდებიც ვაფართოვებთ ჩვენს თვალთახედვას, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენი მთავარი პრობლემა წლეულს სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება იყო, — თქვა ქალბატონმა ეკა დანელიამ. მან ასევე გულისტკივილით აღნიშნა, რომ თუმცა ჩვენი ბავშვები ფესტივალის ლაურეატთა შორის მოხვდნენ, მარიამ კახელიშვილი და ანა ხანჩალიანი კი, რომლებიც პროექტ „ნიჭიერის“ მონაწილენი არიან, უკრაინის ევროვიზიის კონცერტის საპატიო მონაწილეებად მიიწვიეს, ბევრი ნიჭიერი „არტეკში“ უსახსრობის გამო ვერ წავიდა.

ამასთან დაკავშირებით მასმედიის წარმომადგენლებმა, კერძოდ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის, გაზეთების „სვობოდნაია გრუზიასა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებმა აზრი გამოვთქვით, რომ ხარჯის ეს მუხლი შესაბამისმა უწყებებმა, ვთქვათ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, ანდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებმა თავიანთ ბიუჯეტებში გაითვალისწინონ სათანადოდ, თუნდაც იმის გამო, რომ, როგორც ქალბატონმა ეკა დანელიამ თქვა, **ფინანსური დახმარების თხოვნით მან წლეულს 26 (!) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ასევე ბიზნესის წარმომადგენელს მიმართა, თუმცა პასუხი არც ერთმა არ აღირსა!**

**სირცხვილია, სხვა თუ არაფერი, სირცხვილი!**

**ოთარ ტურაბელიძე.**

**სურათებზე:** საქართველოს დელეგაცია „არტეკში“; უკრაინის საელჩოს საინფორმაციო-კულტურულ ცენტრში შეხვედრისას.

◉ ინფორმაცია თემაში

***ცენტრი „არტეკი“ შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის დაბა გურზუფის მახლობლად 208 ჰექტარ ფართობზეა გაშენებული და თავის ისტორიას 1925 წლიდან მოყოლებული ითვლის. იგი ცხრა საბავშვო ბანაკისგან შედგება, რომლებსაც ერთდროულად ოთხი ათასი ბავშვის მიღება შეუძლია. არსებობის დღიდან მოყოლებული „არტეკში“ მსოფლიოს 126 ქვეყნიდან ჩასულმა ერთნახევარმა მილიონმა ბავშვმა დაისვენა.***

***ფესტივალის ორგანიზატორები დელეგაციებს სიმფეროპოლის აეროპორტსა და სარკინიგზო სადგურში ხვდებიან, სატრანსპორტო ხარჯი მონაწილეთა გადასახდელია. თვითდაფინანსების ხარჯზე და ბანაკებსა და ცენტრის სასტუმრო კომპლექსებში თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში დელეგაციებს ორგკომიტეტში თავიანთი რიცხოვნობის გაზრდის თხოვნით მიმართვა შეუძლიათ. „არტეკში“ ჩასვლისას კი თითოეული დელეგაცია სარეგისტრაციო შესატანს იხდის, რომელიც უკრაინული გრივნებით 200 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურ თანხას შეადგენს.***

***საგულისხმოა ასევე ისიც, რომ „არტეკს“ საკუთარი ჰიმნი აქვს, რომელსაც სხვადასხვა ენაზე ასრულებენ. მასში, კერძოდ, ეს სიტყვებია: „ეს ერთი პლანეტა გვაქვს ყველას, დაე, უკეთესი და უფრო კეთილი იყოს იგი. დედამიწის ბავშვებო, შევცვალოთ სამყარო, დაე, უფრო მეტად ნათელი, კეთილი და მშობლიური იყოს იგი!“***

*P. S. იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყანაში თავიანთი ბავშვებისთვის „არტეკის“ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მიღებას, წლევანდელ ფორუმში პალესტინის დელეგაციის მონაწილეობა მოწმობს, რომელსაც ბანაკში მისვლამდე საზღვარზე... ერთ-ერთი ბავშვი მოუკლეს, მაგრამ, უდიდესი შოკის მიუხედავად, პატარები მაინც ჩავიდნენ ყირიმში და ღირსეულადაც წარმოჩნდნენ.*

***„ჩვენ შეშფოთებულები ვართ:***

***სამხედრო კონფლიქტების ესკალაციითა და საბრძოლო მოქმედებებში ბავშვთა ჩართვით“, — ნათქვამია, კერძოდ, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა გაეროს გენერალური ასამბლეისადმი მიმართვაში.***

***ამით ჩვენც აღშფოთებულები ვართ, თუმცა ჩვენს აღშფოთებას ზოგიერთი სხვა გარემოებაც ახლავს, რომელთა თაობაზე ზემოთ მოგახსენეთ.***

***ო. ტ.***

◉ ინფორმაცია

# მართლა განათავსა რუსეთმა ცხინვალში რაკეტები?



**ქართული მხარე ვარაუდობს, რომ რუსეთმა C300 ტიპის რაკეტები ცხინვალის რეგიონში უკვე განათავსა. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა.**

**მინისტრის შეფასებით, რუსეთს C300 ტიპის რაკეტები სამხრეთ კავკასიაზე და მის მოსაზღვრე ქვეყნებზე კონტროლის დასამყარებლად სჭირდება.**

**— რუსეთმა შემოიტანა რაკეტები აფხაზეთში და უკვე განათავსა. მართალია ჯერ არ გამოუცხადებია, მაგრამ ცხინვალის რეგიონშიც რაკეტები აუცილებლად უკვე ექნება შემოტანილი. მათ ამით სამხრეთ კავკასიაზე და მის მოსაზღვრე რაიონებზე სამკუთხედი შექმნეს, რომელიც მათი ჭკუით ნატოსთან კონფრონტაციისთვის დასჭირდებათ, — აღნიშნა ვაშაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# სადამდე უნდა ვირტყათ პატრიოტულად მჯიღი?!

**თბილისის ქუჩებიდან გარემოვაჭრეთა ცემა-ტყეპით გაყრამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ რამდენად შორს არის საქართველოს ხელისუფლება ამ ერთობ სერიოზული პრობლემის გონივრული გადაწყვეტისაგან. ხელისუფლებას, რომლის მთავარი მიზანი ფასადურობისთვის ბრძოლაა, აშკარად არ აწყობს ფასადზე გაჩენილი ლაქების არსებობა. ის მხოლოდ არჩევნების წინ ეგუება ასეთს, ხმების მოპოვების მოლოდინში.**

კაცმა რომ თქვას, რა არის კარგი ქაოტურ, ანტისანიტარიულ ქუჩის ვაჭრობაში? ცხადია, არაფერი, მაგრამ... და ამ მაგრამის შემდეგ იწყება ის სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გახსენება, რამაც თბილისი ერთ დიდ ბაზრად აქცია. უპირველეს ყოვლისა ლტოლვილთა გაჩენისა და მათი დასაქმების საკითხია. წინა და დღევანდელ ხელისუფალთა ავანტიურიზმის შედეგად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიდევნა საკუთარი სახლ-კარიდან. ბევრმა მათგანმა თბილისს შეაფარა თავი. 1992-94 წლებიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ აფხაზეთიდან ლტოლვილების ბინით და სამუშაოთი დაკმაყოფილების საკითხი ვერა და ვერ გადაწყდა. ძველს ახალიც დაემატა. რა არის გასაკვირი ან მიუღებელი იმაში, რომ თვით მათ მიეხედათ საკუთარი თავისთვის? და მიხედეს, დაიწყეს რა ვაჭრობა თბილისის ქუჩებში. ბევრი მათგანი „დეზერტირის“ ბაზრის ტერიტორიაზე განთავსდა, ბაზრის დანგრევის შემდეგ – მიმდებარე ქუჩებზე. ხელისუფლებამ ბაზარი დაანგრია ამ ტერიტორიის გაყიდვის მიზნით, რითაც არა მარტო ლტოლვილ გარემოვაჭრეებს შეუქმნა პრობლემები, არამედ სხვებსაც და, რაც მთავარია, თბილისის მოსახლეობას (გარემოვაჭრეებსძ არსებულ ან სახელდახელოდ შექმნილ ბაზრებში ვაძლევთ ადგილებსო, – აცხადებს თბილისის მერი უგულავა. ასეთად იგულისხმება ყოფილი „დეზერტირების“ ბაზრის მოპირდაპირე მხარე, სოფლის ორღობეების მსგავსი, ოღროჩოღრო ტერიტორია, სადაც კისრის მოტეხა გაცილებით იოლია, ვიდრე რაიმეს ყიდვა. ზაფხულში მტვრიანი, ზამთარში კოჭებამდე ტალახით სავსე ე. წ. ბაზარი გამყიდველ-მყიდველის თავხედური დაცინვაა, რასაც, სამწუხაროდ, დაეჩვია ხელისუფლება.

**ქუჩის ვაჭრობა ქალაქის იერსახეს აფუჭებსო, – აცხადებენ ხელისუფალნი. იქნებ პირიქით. ორგანიზებული გარევაჭრობა, მაღაზიების წინ გაშლილი ბოსტნეულისა და ხილის დახლებით არა თუ აფუჭებს, არამედ ახალისებს გარემოს, გარდა ამისა ისედაც გაძვალტყავებულ მყიდველ-გამყიდველს ორიოდე კაპიკის შოვნა – ეკონომიის შანსს აძლევს. როგორც ჩანს, გამყიდველის მიერ უკონტროლოდ ნაშოვნმა ფულმა გააღიზიანა მერია. მომავალი წლიდან ე. წ. ბაზრებში შეყრილი გარემოვაჭრეებიდან, გადასახადის სახით, ახალი ფულის შოვნის წყარო გაუჩნდება მას.**

ხელისუფლებას, თავის მართლების მიზნით, ხშირად მოჰყავს უცხოური მაგალითები – იქ გარევაჭრობა აკრძალულიაო. ნეტავ რომელი ქვეყანა ჰყავს მხედველობაში? გარევაჭრობა ყველგან დაშვებულია, მათ შორის პარიზში, რომში, ლონდონში, ამსტერდამში... რომში შაბათ-კვირას ქუჩები იკეტება, ავტომანქანების სავალ ნაწილზე სავაჭრო დახლები ლაგდება და ა. შ. ასეა ბონში, ბერლინში, სხვაგან და სხვაგან და ყოველივე ამას ორგანიზებას თვით მერია უკეთებს. პირადად არაერთხელ მიყიდია გერმანიის ან სხვა ქვეყნების ქალაქების მოედნებზე, თანაც რატუშის წინ გამართულ სასოფლო-სამეურნეო სახელდახელო ბაზარში ხილი. **რომში, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე საუკუნოვანი კულტურისა და ისტორიის ძეგლებია მიმოფენილი, გარევაჭრობა პეიზაჟს არ აფუჭებს, თბილისში – პირიქით. დაცარიელებული „დეზერტირის“ ბაზრის შემოგარენი, სახლების ჩამორეცხილ-ჩამონგრეული ფასადებით, დანგრეული ქუჩებით პესიმისტურ განწყობაზე აყენებს გამვლელს. გარევაჭრობა თვალს მაინც ტაცებდა ამ უბადრუკობას.**

აპირებს ხელისუფლება ლტოლვილების ან სხვათა დასაქმების საკითხის მოგვარებას? როგორც ჩანს, არა. ყოველ შემთხვევაში ექვსწლიანი ნაცური მმართველობა ამაზე მეტყველებს. რწყილის და ჭიანჭველის არ იყოს – დასაქმებას საწარმო სჭირდება, საწარმოს – ინვესტიცია, ინვესტიციას – უღრუბლო გარემო, სტაბილური ვითარება და ა. შ. არსებული ინვესტიციებით თუ ვიმსჯელებთ, საქმე არც ისე კარგადაა, როგორც ხელისუფლება გვეუბნება. **დაუსაქმებელ საქართველოს ისღა დარჩენია, ლუკმაპური საზღვარგარეთ ეძებოს. ამას წინათ ცნობილმა ამერიკულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა გელაპმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. მისი მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 44 პროცენტს სურს საზღვარგარეთ გამგზავრება – ზოგს ცოტა ხნით, სამუშაოდ, ზოგს სამუდამოდ. უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრება არახალია და ნაკლებად გულგასახეთქი, მით უმეტეს თუ გელაპის გამოკითხვის მიხედვით საქართველოზე წინ სხვები არიან, მაგალითად, სომხეთი. ამ ტენდენციაში სახიფათო ისაა, რომ ისედაც მოსახლეობით განახევრებულ საქართველოში, უცხოეთში გადახვეწის მსურველი 44 პროცენტია და ეს მაშინ, როდესაც პენსიონერთა (800 000) რაოდენობა დღითიდღე მატულობს. გარდა ამისა სისტემატურად ვისმენთ პრეზიდენტისა და ნაციონალთა აგიტატორების ყოყოჩა განცხადებებს საქართველოში დაბრუნებულებთან დაკავშირებით. ვის დავუჯეროთ – სააკაშვილსა და მის აგიტატორებს თუ სინამდვილეს, რომელიც ამერიკულმა გელაპმა ასახა? და კიდევ ერთი რამ – 44 პროცენტიდან – 14-ს სამუდამოდ სურს თავი დააღწიოს საქართველოს!**




ქვეყნიდან გამგზავრების მოტივი სხვადასხვაა – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა. საქართველოს შემთხვევაში წინა პლანზე სოციალურია წამოწეული, ანუ შიმშილისგან თავის და ოჯახის გადარჩენის მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრება, რაც თავისთავად მეტყველებს საკუთარ ქვეყანაში ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური მანქანის ცუდ მუშაობაზე. დასტურად მეორე გამოკვლევაც კმარა – ისიც ამერიკული, ჟურნალ „ნიუსუიკის“. ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კუთხით 100 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით პირველობა ფინეთს ერგო. ბოლო მე-100 ადგილზე ბურკინა ფასო გავიდა. რაც შეეხება საქართველოს – ის საერთოდ ვერ მოხვდა ასეულში. ვინ არ არის ამ სიაში – ბანგლადეში, ნიგერია, აზერბაიჯანი, რუსეთი, საქართველო – არა. აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება ქართულ მედიას, გარდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ არ მიუქცევია, ცხადია, შეგნებულად. პირიქით, ორი დღის განმავლობაში ტელეკომპანიები ციტირებას ახდენდნენ დაქირავებული უკრაინელი ჟურნალისტის სტატიისა თუ რა ეკონომიკურ სასწაულებს აქვს ადგილი საქართველოში. „ნიუსუიკის“ კვლევის შედეგებში იქნებ გარკვეული წვლილი აქვს იმასაც, რომ საქართველოს ექსპორტი მეზობელ რუსეთში თითქმის ნულზეა დასული? ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდთან შედარებით კატასტროფულად არის შემცირებული ექსპორტი. ერთ-ერთ სტატიაში აღვნიშნავდი, რომ საბჭოთა საქართველოს 70-მდე დასახელების ნაწარმი გაჰქონდა უცხოეთში, მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში. აქ არ იგულისხმება საბჭოთა რესპუბლიკები, სადაც ჩვენი პროდუქციის შეტანა დღეს საოცნებოა. ნაციონალთა აგიტატორებს, მათ შორის ჩემს კრიტიკოს ჩიქოვანს ვურჩევდი, თვალი შეევლო თუნდაც ამ სტატისტიკისათვის. **ის, რომ საბჭოთა კავშირის წყალობით საქართველო აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულად იქცა, საიდუმლოა? ის, რომ ხუთმილიონიან რესპუბლიკას ჰქონდა წარმატებული მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, ჩარხთმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, დაუჯერებელია? ის, რომ საქართველო უზარმაზარ საბჭოთა ბაზარს ჩაით ამარაგებდა, დაუჯერებელია? ის, რომ საქართველო საბჭოთა სივრცეში მოწინავე აგრარულ-ინდუსტრიული რესპუბლიკა იყო, დაუჯერებელია? ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თავისი ინსტიტუტებით ერთ-ერთი წარმატებული იყო არა მარტო საბჭოთა სივრცეში, ზღაპარია?**

საბჭოთა კავშირის დროს უნიკალური, ძვირადღირებული წიგნებით ამდიდრებდნენ ბიბლიოთეკებს, დღეს ქურდულად იპარავენ და ჰყიდიან. „წარმატებული“ საქართველო უცხოეთში ჰყიდის ხე-ტყეს, ჯართს, სასუქებს, ღვინოსა და მინერალურ წყლებს, თანაც ცოტა რაოდენობით, სეზონზე ელექტროენერგიას – ეს არის და ეს; რაც შეეხება იმპორტს – კომენტარი ზედმეტია, ვინაიდან შემოგვაქვს ყველაფერი ბოსტნეულიდან დაწყებული – კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, ნიორი, ყურძენი, ციტრუსები, კიტრი, ხორბალი, ქერი, წიწიბურა, სიმინდი, შაქარი, ყველა სახის კონსერვი, ზეთი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სანელებლებიც კი. ახლა არ იტყვით, რამდენად ვყიდით ღვინოს? მაგ. „ქინძმარაულს“ 3.32 დოლარად, „ხვანჭკარას“ – 5.33 ლარად. სუპერმარკეტებში „ქინძმარაული“ 22 ლარია, სხვა ღვინოების ფასი გაცილებით მეტი – 33-35 ლარი, აი ასეთი „წარმატებულები“ ვართ. ჩიქოვანისა და მისი მსგავსი აგიტატორების აზრით, თუ რამე წარმატებული იყო წინათ, უნდა ვაგინოთ, წარუმატებელს, მაგრამ ახალს, ხოტბა შევასხათ. ამ კატეგორიას არც ის მოსწონს, რომ რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოყალიბდეს. ასი წელია საქართველო რუსეთს ეომებაო. კეთილი, მაგრამ ომს მაშინ აქვს გამართლება, როდესაც ერთხელ მაინც გაიმარჯვებ. **ის, რომ დიდსა და ჩვენთან შედარებით ძლიერ რუსეთს, საქართველო ომს ვერ მოუგებს, ძნელად დასაჯერებელია? განა უმჯობესი არ არის მაგიდასთან „ომი“ თუ მართლაც ომი აღგვაფრთოვანებთ? თანაც მსხვერპლის, ტერიტორიული დანაკარგების გარეშე? მაგრამ ამისთვის საჭიროა მინიმუმ გონებაგახსნილობა, ცოდნა, კეთილი ნება, ტაქტი, პრაგმატული აზროვნება და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული, ცხადია, არა ისეთი კუჭური, თქვენ და თქვენისთანებს რომ სჩვევიათ. თქვენდა სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილს ნაცთა აგიტატორების შორიახლოსაც არ ჩაუვლია. თქვენი მოსაზრებით, რუსეთთან სამარადისო მტრობა უნდა გვქონდეს. გადაიტანს ამას მოსახლეობით განახევრებული საქართველო? ან რა საჭიროა, თუ სხვა გზითაც შეიძლება პრობლემების მოგვარება? როგორც ჩანს, ყურადღება არ მიგიქცევიათ ამერიკელი ჰილარი კლინტონის ნათქვამისათვის – ეკონომიკურ განვითარებას რუსეთთან ურთიერთობა ხელს არ უშლისო.**

**დიახ, რუსეთი არის აგრესორი, ოკუპანტი, ღვთისპირისგან გადავარდნილი სახელმწიფო – ამის ძახილით გამოვა რამე? იქნებ კარგად გაგეაზრებინათ რა ბრძანა კუშნერმა სიტყვა – „ოკუპანტთან“ დაკავშირებით? იქნებ ამ აგრესია-ოკუპაციაში პაწაწკინტელა წვლილი ჩვენც მიგვიძღვის? იქნებ შეგეხსენებინათ დსთ-ს სივრცეში კიდევ სად განახორციელა რუსეთმა აგრესია?**

„ნიუსუიკის“ გამოკითხვით მსოფლიო ასეულის სათავეში პატარა ფინეთია, ეს ქვეყანა ბოლო წლების ყველა გამოკითხვით მოწინავეა. თუ არცთუ შორეულ წარსულს გავიხსენებთ, საბჭოთა კავშირ-ფინეთს შორის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, სსრკ-ფინეთის ომს ჰქონდა ადგილი. მაშინ ფინეთი შეცდა ჰიტლერთან მოკავშირეობით ზურგგამაგრებული. კრემლმა კარგად იცოდა, რომ ფაშისტური გერმანია დღეს თუ არა, ხვალ საბჭოეთს დაუწყებდა ომს. ასეთ დროს ლენინგრადთან, სულ რაღაც 20 კილომეტრში მოწინააღმდეგის საზღვრის არსებობა, ერთობ დიდი საფრთხის მომტანი იყო. ამიტომ მოსკოვმა თხოვნით მიმართა ფინეთის ხელისუფლებას საზღვრის გადატანის თაობაზე. მოსკოვი დასავლეთით გადატანილ საზღვარში ორჯერ მეტ ტერიტორიას ჰპირდებოდა ფინეთს. ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. მოლაპარაკებაში თვით სტალინიც ჩაერთო, მაგრამ ამაოდ. ფაშისტური გერმანიის იმედით, ოფიციალური ჰელსინკი უარზე იყო. საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა ფინეთს, რომელმაც ორივე მხარის ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ფინეთი დამარცხდა. მისდა სამწუხაროდ გერმანიამ დახმარება ვერ გაუწია. ვერც ფაშისტური გერმანიის მხარეზე ომმა მოუტანა ფინეთს წარმატება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფინეთის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე მანეირგეიმი იტყვის, რომ სტალინის წინადადება საზღვრის გადატანასთან დაკავშირებით პრაგმატული, რეალური აზროვნების ნაყოფი იყო. ომის შემდეგ ფინეთის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ საღი აზროვნების მქონე პოლიტიკოსები პრეზიდენტ კეკონენის მეთაურობით. ჭკვიანმა პოლიტიკოსმა კარდინალურად შეცვალა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა. დასავლეთში ამ ურთიერთობას ხშირად ფინლანდიზაციასაც უწოდებდნენ, ზოგი ფინეთს საბჭოთა რესპუბლიკადაც მოიხსენიებდა, ცხადია, დაცინვით. მრავალწლიანი საზრიანი ურთიერთობის შედეგად – საბჭოთა ნედლეულისა და საკუთარი საქონლის გასაღების უდიდესი ბაზრის გამოყენების შედეგად, ფინეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად იქცა, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ფინეთი ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოს წევრი, ვინაიდან მას არ სურს რუსეთის გაღიზიანება. სხვათა მაგალითებიც უხვადაა, მაგრამ რად გინდათ, ჩვენ ის ხალხი ვართ, სხვის მაგალითებს კი არა, საკუთარს რომ არ ვიზიარებთ.

მარიოტების ფონზე „ნაშენი“ ქვეყნის ეკონომიკა სრული სიბრძესიბანით შეესაბამება ეკონომიკის სამინისტროს გუშინდელი და დღევანდელი ხელმძღვანელების ცოდნა-გამოცდილებას, მაგრამ ჰკითხეთ ნაცთა აგიტატორებს – ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ამ ხელისუფლების მიღწევებს რომ ვერ დაინახავსო, ქვეყანაში ყველაფერში წინსვლა იგრძნობაო, იგება გზები, შენდება სასტუმროები და ა. შ. საქართველოს გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ასეთი მმართველი არ ჰყოლიაო, გაიძახიან ისინი, ზოგი საკუთარი ბიზნესის გადარჩენის მიზნით, ზოგიც ნაცთა მიერ გადაგდებული ლარების საპასუხოდ. დადიან ეს აგიტატორები ხალხში და არწმუნებენ მას თუ რა საამური ცხოვრება აქვს. თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებს და ნაგავში გადაყუდებულ საქართველოს შეახსენებს, მერე რა, ასეთი უცხოეთშიც არისო. მთავარია ქვეყანა სწორი კურსით მიდისო. საკუთარ სისულელეებში დარწმუნებულთ, სხვებიც სულელები ჰგონიათ, მათ შორის „ნიუსუიკიც“.

**სახელმწიფოთა შორის ვაჭრობა ეკონომიკური წარმატების საწინდარია. ამ პრიმიტიული მოსაზრებიდან და არა რუსეთის სიყვარულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფალთა ვალია აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან. ამ ქვეყანასთან ვაჭრობა, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა დადებითად იმოქმედებს გაჩანაგებულ საქართველოზე, დროა შევეშვათ ფსევდოპატრიოტიზმს და ვიფიქროთ ერის გადარჩენაზე.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთს რუსეთისთვის პლაჟების გადაცემა არ სურს

**მოსკოვსა და სოხუმს შორის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა – მხარეებს არ შეუძლიათ მოაწესრიგონ საკუთრების საკითხები, რომლებიც, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, შეეხება ბინებს, სახლებს, სანატორიუმებსა და პლაჟებსაც კი, რომლებიც აფხაზეთში შეისყიდეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა. ყიდვა-გაყიდვა გაიმართა იმ დროს, როდესაც აფხაზები იბრძოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობისთვის, ხოლო როდესაც ეს დამოუკიდებლობა მიიღეს, აღარ ისურვეს, აღიარონ გარიგებანი, რომელთა თანახმადაც რესპუბლიკის მთელი საკურორტო ზონა ხდება რუსეთისა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს „აფხაზეთის დეკოლონიზაციის პროცესის დასაწყისია“**

24 აგვისტოს საინფორმაციო სააგენტო „აფსნიპრესმა“ გაავრცელა აფხაზეთის მთავრობის პრემიერის სერგეი შამბას განცხადება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებამ უარყო რუსეთის წინადადება, რომელიც შეეხებოდა იქ მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ქონებრივ უფლებებს. საკითხი შეეხება პროექტს სახელწოდებით „რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი კომისიის მუშაობის კონცეფცია აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით“. დოკუმენტი, შამბას სიტყვებით, შემოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ვინაიდან ქაღალდს არ ჰქონდა არც სარეგისტრაციო ნომერი, არც თანმხლები წერილი, „პროექტი უმალვე იქნა უარყოფილი, როგორც განხილვის ობიექტისთვის უსაფუძვლო“. „მასზე არის აფხაზეთის პრეზიდენტის შესაბამისი რეზოლუცია“, დაუმატა შამბამ.

„აფსნიპრესის“ ვერსიით, სერგეი შამბას განცხადება გამოიწვია ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულმა ცნობებმა, რომლებშიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გვაფრთხილებს: თუ კონცეფცია მიღებული იქნება, მაშინ დაზარალდება აფხაზეთის ეროვნული ინტერესები. რუსებს გარდა, რომლებსაც მიენიჭათ საკუთრების უფლება აფხაზეთში, ასეთივე უფლებებზე, მაგრამ არა შესყიდულზე, არამედ დაკარგულ საცხოვრებელ ადგილებზეც პრეტენზიებს წარმოადგენენ ათასობით ქართველი ლტოლვილებიც, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი 1990-იანი წლების დასაწყისში შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამასთან დაკავშირებით შამბამ შენიშნა, რომ ბრალდებას ეროვნული ინტერესების გაყიდვაში არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, რომ არავითარი დოკუმენტი რუსეთის მოქალაქეთა საკუთრების გასხვისების შესახებ ახალგაზრდა რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან არ შემოსულა. ამის შესახებ გვითხრა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დაურ კოვემ. მისი სიტყვებით, „ეს საკითხი განიხილებოდა, და აფხაზეთის



ხელისუფლება არაერთგზის აცხადებდა, რომ საჭიროა ამ საკითხის შესწავლა და აქ წესრიგის დამყარება, მაგრამ საგნობრივი დოკუმენტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩვენს უწყებაში არ შემოსულა“. სინამდვილეში, განმარტა დაურ კოვემ, „ამგვარი შემთხვევები იყო, მაგრამ ისინი შეეხებოდნენ არა მხოლოდ რესპუბლიკაში მცხოვრებ რუსებს, არამედ აფხაზეთის მცხოვრებლებსაც საერთოდ მათი ეროვნულობის მიუხედავად“. რუსების ან რუსულენოვანთა ინტერესების შებღალვაზე საუბარი არც კია, ხაზგასმით აღნიშნა აფხაზმა ჩინოვნიკმა.

სინამდვილეში, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტში გვაცნობეს, სოხუმში მოსკოვიდან იგზავნებოდა არა მხოლოდ ინფორმაციები იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს ართმევენ საკუთრებას, და დაზარალებულთა სიები, არამედ ოფიციალური ნოტებიც. „ასეთი შემთხვევები იყო და ისინი არაერთგზის განხილულან ორმხრივ შეხვედრებზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით“, გვითხრეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამ შემთხვევაში სოხუმში მართლაც გაიგზავნა კონცეფციის პროექტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით. მაგრამ, როგორც წყარომ აფხაზეთის მთავრობაში გვაცნობა, ამჯერად საკითხი შეეხება არა მხოლოდ იმ რუსების ბინებს, რომლებიც რესპუბლიკაში ცხოვრობენ, საკითხი შეეხება აგრეთვე საკურორტო ობიექტებსაც, რომლებიც თავის დროზე შეისყიდეს რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა. და ამაშია, აღნიშნა წყარომ, მთელი ინტრიგა.

„მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“, – აღნიშნა მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტმა ალექსეი მალაშენკომ. „ჩვენები ყიდულობდნენ აფხაზეთში, ხშირად შუამავლების მეშვეობით, ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლებოდა – ბინებს, სახლებს, ზოგიერთმა დეპუტატმა პლაჟებიც კი შეისყიდა, ვინაიდან რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მიღებამდე ეს კაპიკები ღირდა. აღიარების შემდეგ კი გაირკვა, რომ ყველა ნასყიდი უნდა გაფორმდეს იურიდიულად, აფხაზეთში კი გაიგეს, რომ ამ შემთხვევაში რესპუბლიკას გარდა დამოუკიდებლობისა, აღარაფერი რჩება – ყველაფერი რუსების მიერ არის ნაყიდი და აფხაზეთმა აღარ ისურვა, იყოს კოლონია. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღმოჩნდა დელიკატურ სიტუაციაში, მან ფაქტობრივად არ იცის, როგორ მოიქცეს: საკმარისია, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განცხადება და უმალვე აქტიური ხდება თურქეთი, რეაგირებას ახდენს ევროკავშირიც, რომელსაც შეუძლია ბრალი დასდოს მოსკოვს თავისი კორუფციული სქემების გადაბარებაში ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის. ასე რომ, ამჟამინდელი სკანდალი მხოლოდ დასაწყისია“, – გააკეთა მალაშენკომ დასკვნა.

ამ დროს 24 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში სოხუმში პრემიერმა სერგეი შამბამ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც აღნიშნა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება არ აპირებს, უარი თქვას იმ საკითხების განხილვაზე, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების დაბრუნებასთან რუსეთის მოქალაქეებისთვის. პრემიერის სიტყვებით „აფხაზეთში ამჟამად მუშაობს კომისია, რომელიც სწავლობს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევას, სამართალდაცვის ორგანოები, პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო ასევე სწავლობენ ყველა შემოსულ მასალას ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით“. ამავე დროს მან დაადასტურა, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებამ უარყო აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების აღდგენის კონცეფცია, რომელიც გამოგვიგზავნეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან. „ეს დოკუმენტი არ ითვალისწინებს აფხაზეთის სინამდვილის რეალიებს და ბევრ მომენტს, რომლებსაც შეიძლება ახლდეს სტაბილურობის საფრთხე რესპუბლიკაში“, – განმარტა შამბამ.

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# „მისტრალების“ გაყიდვა: რატომ გადაიფიქრა მოსკოვმა?



**პარასკევს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვი აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ორი შვეულმფრენმზიდის მშენებლობაზე. ამ კონტექსტში ელისეის სასახლის დარწმუნება იმაში, რომ მოლაპარაკება ფრანგული მისტრალის გაყიდვის შესახებ გრძელდება „ნორმალურად, საუცხოო ვითარებაში“, გვეჩვენება განზოგადებულად, ვინაიდან სინამდვილეში „პარიზი დაბნეულია, როდესაც წამოიჭრება საკითხი მოსკოვის ჭეშმარიტ განზრახვებზე“**

არ არის გარკვეული რუსული პოზიციაც იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება „ტექნოლოგიების გადაცემას“. საფრანგეთის ინდუსტრიულ წრეებში ადასტურებენ, რომ „რუსები არ ითხოვენ რაიმე ელექტრონიკის, კომუნიკატიური საშუალებების ან შეიარაღებისა გადაცემას, ერთადერთი, რასაც ისინი მოითხოვენ დაბეჯითებით, ესაა ის, რომ ხომალდზე იყოს საკმარისი ადგილი რაკეტა „დედამიწა-ჰაერის“ დანადგარის წარმოებისთვის.

მისტრალი მხოლოდ იწოდება სამხედრო ხომალდად, სინამდვილეში ეს არის უზარმაზარი ბორანი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საავადმყოფო ბლოკით და მონაცემების გადამუშავების საშუალებებით (რომლებსაც რუსეთის მხარეს არ სთავაზობენ), და შენდება იგი სამოქალაქო ნორმების შესაბამისად. ამგვარი ხომალდების დაცვას საფრანგეთის ფლოტში უზრუნველყოფენ თანმხლები ხომალდები, აღჭურვილი საჰაერო თავდაცვის საშუალებებით.

მისტრალის შესყიდვის მოწინააღმდეგეთა პარტიაში წინა პლანზეა ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი, რომელიც სათავეში უდგას დირექტორთა საბჭოს.

ამ გარიგების უკან იმალება ინტრიგების მთელი კვანძი. გათვითცნობიერებული რუსული წყარო გვაცნობებს: „ეს საქმე იყო მეტად უცნაური თავიდანვე. ვიღაც ბიჭს უნდოდა უზრუნველეყო თავისი ნავსადგური სამუშაოდ, მაგრამ საქმე აღმოჩნდა მეტად რთული, იგი ყველაზე მაღალ დონეზეც კი განიხილება. ასე რომ, ერთ პატარა ქვიშასაც კი შეუძლია ყველაფერი დაანგრიოს“. ეს „ბიჭია“ ოლიგარქი სერგეი პუგაჩოვი, რომელსაც ეკუთვნის ფრანგული გაზეთი „ფრანს-სოირი“ და საზღვაო ნავსადგური სანქტ-პეტერბურგში.

**ჟან გისნელი**

LE POINT

# ლუკაშენკო სააკაშვილის ბილიკით წავა?

***როდესაც უყურებს, თუ როგორ დარბის შავი კატა მოსკოვსა და მინსკს შორის, სააკაშვილმა იხმო ლუკაშენკო თბილისში. ვთქვათ, მართლაც ჩამოვიდეს! საინტერესოა, კიდევ რით შეიძლება გაუმწარონ ერთმანეთს სიცოცხლე რუსეთისა და ბელარუსის ხელისუფლებმა.***

*გ. ვარდოსანიძე, ხაშური.*

„ა. ლუკაშენკოს მოქმედებანი იმეორებენ იმ ტრაექტორიას, რომლის მიხედვითაც ვითარდებოდა მ. სააკაშვილის ურთიერთობანი მოსკოვთან 2006-2008 წლებში, – მიაჩნია ანდრეი სუზდალცევს, უმაღლესი ეკონომიკური სკოლის მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო პოლიტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. – საქართველოს ლიდერს ჰქონდა დასავლეთის მხარდაჭერა, ბელარუსისას კი იგი არ გააჩნია. ანტირუსული მოქმედების არსენალი ლუკაშენკოს დიდი არა აქვს. ბელარუსს არ შეუძლია დააკაკუნოს ნატოს კარზე, არ მიიღებენ. მილის ან საავტომობილო გზების გადაკეტვა, რაც რუსეთის ფედერაციას ევროპასთან აკავშირებს, ნიშნავს დარტყმა მიაყენო საკუთარსავე ეკონომიკას. მარტო ნავთობისა და გაზის ტრანზიტისთვის ბელარუსი წელიწადში ღებულობს 1 მილიარდ დოლარს, სატრანსპორტო ტრანზიტზე – დაახლოებით 500 მილიონს. ხოლო 2011-2012 წლებში „ნორდ-სტრიმის“ და ბალტიის ნავთობსადენის სისტემა-2-ის ნაკადის დაკარგვით ბელარუსი, როგორც ჩვენი ენერგორესურსების ტრანზიტორი, დაკარგავს თავის მნიშვნელობას, რჩება სამხედრო ობიექტები, რომლებსაც რუსეთი იყენებს ბელარუსის ტერიტორიაზე, მაგრამ მათზე უკვე გადახდილია 2021 წლამდე.



აი რუსეთს კი შეუძლია ბატკა თავის ადგილზე დასვას. გ. ონიშჩენკოს სიტყვებით, მას შეეძლო დაეყენებინა საკითხი რადიონუკლიდების შესახებ, რომლებსაც შეიცავენ ბელარუსის კვების პროდუქტები და ავეჯიც კი, დამზადებული „ჩერნობილის ხე-ტყეზე“. ეს ბელარუსის ეკონომიკას ძლიერ დარტყმას მიაყენებს. შორს არ არის აგრეთვე ურთიერთვაჭრობაში მსოფლიო ფასებზე გადასვლაც“.

**ვიქტორ იურიევი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა აღმოაჩინეს დედამიწიდან 127 სინათლის წლით დაშორებული პლანეტების უდიდესი სისტემა**

ეკზოპლანეტების ცნობილ სისტემათა შორის ყველაზე ვრცელი ეს სისტემა მდებარეობს სამხრეთი დიდრის თანავარსკვლავედში. პლანეტები ბრუნავენ ვარსკვლავის გარშემო, რომელიც დიდად გვაგონებს ჩვენს მზეს. ერთ-ერთი პლანეტა სულ რაღაც 1,4-ჯერ მძიმეა დედამიწაზე.

* * *

**ბრაზილიაში ვიდეოზე გადაიღეს უნიკალური ცეცხლის ტორნადო**



სან-პაულუს შტატში გრიგალის ხვრელმა გაიარა ცეცხლოვანი ველი, შექმნა ცაზე გიგანტური მოელვარე ჩირაღდანი. ბრაზილიის ამ რაიონში უკვე 3 თვეა არ ყოფილა წვიმა, ასე რომ, გვალვა და ძლიერი ქარი ხელს უწყობენ ხანძრის გავრცელებას.

* * *



**ტყის ხანძარი კალიფორნიაში ასობით სახლს ემუქრება**

კერნის ოლქში ადგილობრივი მცხოვრებლები ევაკუირებულია. მათ მისცეს დროებითი საცხოვრებელი სკოლის შენობაში. ცეცხლს ებრძვის 150 მეხანძრე თვითმფრინავი ამფიბიების მხარდაჭერით. ხანძრის გავრცელებას ხელს უწყობს ორმოცგრადუსიანი სიცხე.

* * *

**მექსიკაში აღმოაჩინეს ათიათასი წლის წინანდელი ადამიანის ნეშტი**

საკითხი შეეხება ახალგაზრდა კაცის ჩონჩხს, რომელსაც მეცნიერებმა ჩან ხოლის სახელი მიაკუთვნეს – იმ გამოქვაბულის სახელის შესაბამისად, სადაც ნეშტი აღმოაჩინეს. ჩონჩხი შენახულია თითქმის 60 პროცენტით, ის ამოიღეს დატბორილი გამოქვაბულის 8,3 მეტრის სიღრმიდან.



ახალი წიგნიდან

# ორიოდე სიტყვა რუსეთზე...



*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აპოლონ სილაგაძემ დაასრულა მუშაობა წიგნზე პირობითი სახელწოდებით — „ქართული იდეა“. წიგნი სამი თავისგან შედგება: „ქართული ისტორია“, „ქართული იდეა“, „ბოლოთქმა“. „ბოლოთქმა“, წინა თავებში გაანალიზებული კონცეფციის ფარგლებში, მოკლედ ეხება თანამედროვე რეალიებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ერთ-ერთია რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობების საკითხი, რომლისადმი მიძღვნილ პარაგრაფს ვთავაზობთ მკითხველს.*

ორიოდე სიტყვა რუსეთზე ჩვენს კონტექსტში.

ბოლო ორზე მეტი საუკუნის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მთავარი ურთიერთობაა, – იგი შეიძლება იყო (ან იყოს) რთულიც, მტრულიც, მეგობრულიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი, და არა სხვა რამ, ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ჩვენს ბედზე. გასული საუკუნის 80-იან, განსაკუთრებით 90-იან, წლებში ეს დავივიწყეთ, რაც ჩვენი გეოპოლიტიკის მთავარი სისუსტე იყო. ახალი, დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს სინამდვილეში ჩვენ იძულებულნი და ვალდებულნი ვიყავით, გვებრძოლა რუსეთისთვის, მაგრამ ჩვენ წავაგეთ ეს ბრძოლა ისე, რომ არც დაგვიწყია (იხ. ა. სილაგაძე, ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი, თბილისი, 2000). გარკვეულ გამართლებად (უფრო ზუსტად – მიზეზად) ამას ის ჰქონდა, რომ დავისახეთ რა მთავარ ამოცანად საბჭოთა გაერთიანებიდან წასვლა, ვერ დავინახეთ სხვა აქტუალური ამოცანები, მათ შორის, რბილად წასვლის და დამოუკიდებელი ქვეყნის მოწყობისა, რის გამოც ზოგჯერ ვერ ავიცილეთ თავიდან რუსეთის უგულებელყოფის პოლიტიკა (უფრო სწორად, ეს დემონსტრაციული პოლიტიკა მიმართული იყო არა რუსეთის, როგორც ასეთის, არამედ მოსკოვის მხარეს, რომელიც, ჯერ ერთი, კვლავ აღიქმებოდა როგორც სუზერენი, მეორეც, თვითონ არ თმობდა სუზერენიტეტს).

ფაქტია, რომ აუცილებლად უნდა გაგვეთვალისწინებინა: ა) ის, რომ არსებობს ისტორიული გამოცდილება სხვა იმპერიების თუ გაერთიანებების დაშლისა, როდესაც ყოფილი კოლონიების თუ შემადგენლების მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ყოფილ მეტროპოლიასთან თუ ცენტრთან ურთიერთობას; ბ) ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს დიდ რეგიონში მოვლენათა განვითარებას კვლავ რუსეთი განსაზღვრავდა, რომლის სხვადასხვა (დაწყებული სამხედრო და დამთავრებული ინფორმაციული) გავლენის სივრცედ რეგიონი ისევ რჩებოდა, რის გამოც საქართველოს შიგნით არსებული ზოგიერთი ძალა და საქართველოს გარეთ არსებული ზოგიერთი ქვეყანა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული თავისი ინტერესებისა და ფარული პროექტების განსახორციელებლად რუსეთთან დაიჭერდა კავშირს.

ეს საქმის პრაგმატული მხარე იყო. იყო ასევე სხვა ფაქტორები, მათ შორის ისტორიული განახლართვების გამოცდილება, როდესაც რიგ შემთხვევაში საერთო მტერი არსებობდა და, შესაბამისად, – საერთო ბედი. მაგრამ მხოლოდ პრაგმატიკაც საკმარისი არგუმენტი იყო რუსეთთან ახალი (განსაკუთრებული და პარტნიორული) დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის: საქართველოს შიგნითაც და მის გარეთაც საქართველოს ოპონენტებს ჩვენი დასუსტებისთვის პრაქტიკულად ერთადერთი იარაღი ჰქონდათ – რუსეთი და მასთან კეთილი ურთიერთობების დამყარება საქართველოს საზიანო გეგმების ლობირებისა და ინსპირირებისთვის. ამიტომ ასევე პრაქტიკულად ერთადერთი საშუალება ჩვენთვის იყო ახალ სიტუაციაში რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება და სხვათა მცდელობების ბლოკირება, რაც ნიშნავდა საქართველოსთვის არასასურველი განვითარების ბლოკირებას.

ის, რომ სტრატეგიული ორიენტაციის საკითხი – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი – ოდითგანვე გვქონდა გადაჭრილი პირველის სასარგებლოდ, ხელშემშლელი ფაქტორი ვერ იქნებოდა. ჩვენს რეალობაში დასავლეთისკენ სვლის ორი გზა არსებობს: ერთი – რუსეთთან კონფრონტაციით, მეორე – კონფრონტაციის გარეშე (სხვათა შორის, ორსავე შემთხვევაში უჯობესია უხმაუროდ). რეალური – რთული, მაგრამ, რეალური – მეორე გზაა. ამასთან, დასავლეთისკენ, კერძოდ, ევროპისკენ, სწრაფვა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში პრაქტიკულად ყველას აქვს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, რუსეთს (სხვა საკითხია, რომ მას ამ დროს თავისი, სპეციფიკური ხედვა აქვს და თავისთვის თავის მიერ განსაზღვრული სპეციფიკური ადგილი/პოზიცია).

ჩვენთვის ამ შემთხვევაში სწორედ ეს ფაქტორი იყო გასათვალისწინებელი, კერძოდ: ა) ევროპასთან მიახლოება და მასში ამა თუ იმ დონით ინტეგრირება გრძელვადიანი პროცესია, დღევანდელი გამოცდილებით – გაცილებით უფრო გრძელვადიანი, ვიდრე ეს მაშინ წარმოიდგინებოდა; ბ) ეს პროცესი ჩვენგან ასევე მოითხოვდა რბილი მოქმედების ტაქტიკას, როდესაც არც ხელის ერთი დაკვრით და არც საერთოდ არ გაიწყვიტება ძველი კავშირები; გ) ამ პროცესში ჩვენთვის გასათვალისწინებელი იყო, რა თქმა უნდა, დასავლეთის პოზიცია (ამავე დროს, დასავლეთი, კერძოდ, ევროპა, როგორც ირკვევა, ძალიან ჭრელი კონგლომერატია), მაგრამ აუცილებლად – რუსეთის ფაქტორი, დ) რაც საბოლოო ამოცანას ხელს ვერ შეუშლიდა, რეალური გავლენა შეიძლება მოეხდინა მხოლოდ ვადებზე (ვადის შესახებ – იხ. ზემოთ), რადგანაც, როგორც ითქვა, რუსეთი, მართალია საკუთარი გზით, მაგრამ ასევე უახლოვდება ევროპას, რაც ერთ მშვენიერ დღეს იმისთანა სიტუაციას მოიტანდა, როდესაც წინააღმდეგობა პრაქტიკულად მოიხსნებოდა.

როგორც ჩანს, ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები გარკვეულწილად, ზოგადად, ჩვენს ეროვნულ იდეასთანაცაა დაკავშირებული, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, იგი – პატარა ერის სუვერენული თვითდაცვის იარაღი – ზოგჯერ ზომაზე მეტად რადიკალურ ხასიათს იღებს და ამ დროს შეცდომაც შეიძლება ახლდეს: იდეა იმის იდეაა, რომ რეალიზებისას ხანდახან დანახარჯებსა და დანაკარგებს მოითხოვს.

ზემოთ აღწერილი სურათის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენთვის ყველაფერი – არა ჩვენს სასარგებლოდ – რუსეთთან ურთიერთობებმა განსაზღვრა: ისიც, რომ განაწილებისას ყველაზე მცირე სამხედრო შეიარაღება რეგიონში ჩვენ გვერგო (ხოლო შავი ზღვის ფლოტიდან საერთოდ არაფერი გვერგო), ისიც, რომ პრაქტიკულად ყველა სახის ბლოკადა შეგვექმნა, ისიც, რომ ჩვენი ხელისუფლებები მათთვის განკუთვნილ ციკლს ბოლომდე ვერ ატარებდნენ, ისიც, რომ სრულიად ხელოვნურად ინსპირირებულ იქნა შიდა კონფლიქტები, რომლებშიც რუსეთის ჯარი ჩვენი დაპირისპირებული მხარე იყო, ისიც, რომ შედგა რუსეთ-საქართველოს ომი, ისიც, რომ ჩვენს სხვადასხვა მოწინააღმდეგეს კიდევ აქვს რეზერვში ჩვენი დასუსტების საშუალებები, რომელთა ამოქმედებისთვის ისევ რუსეთის იმედი აქვს... და ბოლოს, ის, რომ ჩვენ შეიძლება გავხდეთ ვილაცის პროექტი და არა სუვერენული პოზიციის მქონე ქვეყანა.

ეს ყველაფერი ასეა. ამავე დროს, მეორე – მთავარი – მხარეა რუსეთი. თეორიულად წარმოსადგენია (დაუშვებელი, მაგრამ – თეორიულად წარმოსადგენი) რომელიმე ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ომი, მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ომი რუსეთსა და რომელიმე ყოფილ საბჭოთა ქვეყანას შორის. თუ ასეთი ომი შედგა, რუსეთი აღარ არის რუსეთი, კერძოდ – ის რუსეთი, რომელიც ერთი მხრიდან მეთაურობდა 1941-45 წლების ომს და მასში ყველა რესპუბლიკას აბრძოლებდა. გარდა ამისა, როგორი არგუმენტებიც უნდა მოინახოს, ასეთი ომი ყველა შემთხვევაში მხოლოდ რუსეთის ბრალი იქნება, რადგანაც იგი იყო ამ სივრცის პატრონი, მისი შექმნის ინიციატორიც და დაშლისაც, და ამ სივრცის აღსანიშნად მთელ მსოფლიოში დუბლეტური გამოთქმა იხმარებოდა – საბჭოთა კავშირი, ანუ რუსეთი. თუ ასეთი ომი შედგა, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ არის განსაკუთრებული, ზედიდი სახელმწიფო.

რუსეთი ზედიდი სახელმწიფოა. ისტორიის კანონზომიერებები ქმნიან ზედიდ სახელმწიფოებს არა უბრალოდ მათთვის ძლიერების მისანიჭებლად, არამედ იმისთვის, რომ მათ განსაკუთრებული, გლობალური როლი ეკისრებათ რეალურ ისტორიაში. როგორც ჩანს, შეიძლება იმის თქმა, რომ ზოგი მათგანის ფუნქცია დროებითია, ზოგისა – შედარებით სტაბილური. რუსეთი არა უბრალოდ ზედიდი სახელმწიფოა, არამედ იგი ასეთად ისტორიის მიერ არის ჩაფიქრებული. შეიძლება თქმა ასეც: ზედიდი სახელმწიფო რუსეთის არსებობის ფორმაა, იგი ან იქნება დიდი, ან საერთოდ არ იქნება, – არსებობის სხვა ფორმა მას არ გააჩნია. მაგრამ ყველა შემთხვევაში ზედიდი სახელმწიფოს (ზესახელმწიფოს) არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მას არა უბრალოდ ამოძრავებდეს საკუთარი ინტერესები, არამედ ყოველ მოცემულ დროს შეეძლოს თავის შიგნით ტრანსფორმირება, რადგანაც დროთა მსვლელობაში ზედიდის ფუნქციებიც იცვლება და მისი არსებობის ფორმაც. მე-17 ს-ის შემდეგ რუსეთის ისტორია, ფაქტობრივად ეს არის მცდელობები ტრანსფორმაციის გზაზე (პეტრე I და ეკატერინე II და ევროპეიზაცია; ალექსანდრე I და „საღვთო კავშირი“; ალექსანდრე II და რეფორმები; სოციალ-დემოკრატები; საბჭოთა კავშირი და მეორე მსოფლიო ომი...). პრაქტიკულად იმის გამო, რომ იყო ასეთი აქტები, რუსეთი ინარჩუნებდა ზედიდი სახელმწიფოს სტატუსს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო ზიგზაგები, რომელთაც რთული, ზოგჯერ კატასტროფამდე მისული, სიტუაციები მოჰქონდათ (ნიკოლოზ II და რუსეთის იმპერიის დაცემა, რასაც შემდეგ საბჭოთა ტრანსფორმი მოჰყვა; ავღანეთის ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა...). დღეს ამ მხრივ რუსეთის ისტორიაში ალბათ ყველაზე დიდი ტრანსფორმაციული ამოცანის მქონე ეტაპია. მე-20 ს-ის 80-იანი და 90-იანი წლები რუსეთისთვის ძალიან ცუდი პერიოდი იყო, რადგანაც იგი თავის გარეთ დიდი დამგეგმავების მიერ, ხოლო თავის შიგნით უფრო მცირე მასშტაბის დამგეგმავების მიერ დაგეგმილ თამაშს თამაშობდა, – ორსავე შემთხვევაში არა რუსულს. 90-იანი წლების ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში გარღვევით აღინიშნა – რუსეთმა დაიბრუნა რუსეთი. ამის შემდეგ, გაიხსენა რა საკუთარი თავი და საკუთარი – და არა რალაც ამორფული – ეროვნული ღირსების გრძნობა, რუსეთი გზის გასაყართან დადგა, საიდანაც ორი მიმართულება ისახებოდა: ან დაბრუნება მე-19 საუკუნეში, რაც მომაკვდინებელი იქნება 21-ეში არსებობისთვის, ან შესვლა 21-ე საუკუნეში, რაც ერთადერთი გზაა.

ჯერჯერობით რუსეთი პირველი გზისკენაა გადახრილი, რადგანაც მან მხოლოდ გაიხსენა თავისი ზესახელმწიფოებრიობა, მაგრამ, სწორედ როგორც ზესახელმწიფო, ტრანსფორმაციას ვერ ახერხებს. ტრანსფორმაცია ამ შემთხვევაში ნიშნავს იმის დამტკიცებას, რომ იგი ზედიდი სახელმწიფოა, – დღეს ამისათვის მხოლოდ სამხედრო ძლიერება არ კმარა (რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოდ ისაა, რომ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა შეგიძლია და მეტ ლილაკზე თითის დაჭერა, – სხვათა შორის, ხვალ ასეთ ღილაკებზე თითის დაჭერა პრაქტიკულად ყველას შეეძლება, და ესეც ზედიდი სახელმწიფოების დამსახურება იქნება), დღეს საჭიროა თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე დადგომა და ზედიდი ფუნქციების შესრულება მსოფლიო სივრცეში გლობალური წესრიგისა და წონასწორობის უზრუნველსაყოფად (და არა რომელსამე მოცემულ რეგიონში, კავკასია იქნება ეს თუ შუამდინარეთი, არეულობის შესატანად და მერე იქ საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის, – ეს არა წესრიგისა და წონასწორობის, არამედ, კატასტროფის არგუმენტი იქნება).

დღეს ამ ფუნქციას თავის კერძო ინტერესებზე მომართული აშშ-ც ვერ ასრულებს, დღეს არ არსებობს პარტნიორული ურთიერთობებიც ამ ფუნქციის შესრულებაში, და ასეთი ვითარება, არ არის გამორიცხული, კატასტროფის მომტანი იყოს მსოფლიოსთვის, – მაგრამ ეს სხვა, დიდი, თემაა.

საერთოდ, დღეს ზედიდი და დიდი ქვეყნების – არა მარტო რუსეთის – ამოცანაა არა უბრალოდ ახალი რეალიების, არამედ, იმის გათვალისწინება, რომ ამ რეალიებს ახალი კანონზომიერებები ახლავს. დღეს ჩვენ წინაშეა ინფორმაციულად პრაქტიკულად სრულად გამთლიანებული მსოფლიო, ენერგეტიკულად და ფინანსურად გლობალიზაციაზე ორიენტირებული მსოფლიო, დღეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ის, რომ არსებობენ ინტეგრირებული სივრცეები, რადგანაც ეს სივრცეებიც საბოლოოდ ერთმანეთისკენ იმოძრავებენ. ამ შემთხვევაში პრაქტიკული ეკონომიკა მხოლოდ გლობალური ცნება გახდება; რაც მთავარია, იგი ველარ იქნება ომების ფაქტორი, ასეთ ფაქტორს მხოლოდ გლობალური საფრთხე შეიძლება წარმოადგენდეს.

ამიტომ ზედიდ სახელმწიფოს დღევანდელ დინამიკაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. მან უნდა იცოდეს (ისწავლოს) ცხოვრება არა უბრალოდ ცივილიზებულ, არამედ თვისებრივად ახალ სამყაროში, – სხვათა შორის, ეს ეხება მის, როგორც სწორედ დიდი სახელმწიფოს, ურთიერთობებს პატა-

ახალი წიგნიდან

რა ქვეყნებთან, რომელთაც იგი თავის პირველი რანგის მტრებად არ უნდა მიიჩნევდეს, თუ ისინი მის უაპელაციო დიქტატს უსიტყვოდ არ ემორჩილებიან. რამდენჯერაც ზედიდი სახელმწიფო ასეთ ქვეყანას დაარტყამს, იგი იმდენჯერ დაარტყამს თავის, როგორც ზედიდი ქვეყნის, სტატუსს. ზეძლიერმა ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმახსოვროს, რომ მხოლოდ ცივილიზებული კონკურენცია გადაწყვეტს, რომელი დიდი ქვეყანა გავლენიანი ლიდერი მოცემულ კონკრეტულ სივრცეში. ოღონდ — და ესეც ახალი რეალიები და ახალი კანონზომიერებებია — ეს ლიდერობა აბსოლუტურად უპერსპექტივო იქნება, თუ იგი, ჯერ ერთი, მიმართული იქნება არალიდერი ქვეყნების წინააღმდეგ, მეორეც, თუ საერთო ინტერესებს არ მოემსახურება, კონკრეტული სივრცეების და მათი ლიდერების ერთობლივი, ერთ ამოცანას დამორჩილებული, მეცადინეობით. ზედიდი სახელმწიფოები ხშირად შეთანხმებულად მოქმედებენ, მაგრამ — მხოლოდ საკუთარი, შეთანხმებული ინტერესების პოზიციებიდან. სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასევე შეთანხმებულად დაიწყებენ მოქმედებას პატარა ქვეყნებიც, და ასეთი კონფრონტაცია არ დამთავრდება დიდი ქვეყნების სასარგებლოდ, რადგანაც ყველასთვის ცუდად დამთავრდება.

რუსეთის სპეციფიკა ის არის, რომ იგი ის ზედიდი სახელმწიფოა, რომელიც დღეს კონკრეტული ყოფილი მეტროპოლიაა (ვიხმაროთ, თუნდაც პირობითად, ეს გამოთქმა). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პასუხისმგებლობა არის არა მხოლოდ და საერთოდ გლობალური პასუხისმგებლობა, არამედ კონკრეტული პასუხისმგებლობა ყოფილი ვასალების/მოკავშირეების წინაშე, რადგანაც მან, რუსეთმა, მთლიანად განსაზღვრა მათი ბედი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ე.ი. მომავალ საკმაოდ დიდი ხნის პერიოდში (სხვათა შორის, მანვე განსაზღვრა — ზოგჯერ სრულიად შეგნებულად — ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები). ყველაფერი, რაც ამ ქვეყნებსა და ხალხებს თავს გადახდათ იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მათ შორის უბედურებანი, რუსეთის პოზიციებიდან ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გერმანიის ომი საბჭოთა კავშირთან რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ომი იყო და ამის გამო სხვა რესპუბლიკებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს (ისინი პრეტენზიას ამის გამო არასოდეს აცხადებდნენ და არც აქვთ ამის უფლება), — საქართველომ, მაგალითად, ომში გაიყვანა 700 000-ზე მეტი მეომარი, პროცენტულად ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ციფრია. საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმის შექმნისასაც დასავლეთს რუსეთი ჰყავდა მიზანში აღებული და არა, ვთქვათ, საქართველო. დაშლაც ფორმალურად რუსეთმა (და კიდევ ორმა სლავურმა ქვეყანამ) განახორციელა. პასუხისმგებლობა შექმნაზეც და დაშლაზეც, დაშლის შემდეგდროინდელ სიტუაციებზეც და ახალი სუვერენული მეზობლების ბედზეც მთლიანად რუსეთს ეკისრება, — ის არის ყოფილი გაერთიანების წევრთა შორის ერთადერთი ზედიდი ქვეყანა.

დღევანდელი რუსეთი უნდა ხედავდეს, რომ, როგორი კონტრარგუმენტებიც უნდა შეითხზას, ყველა ის სიმძიმე, რაც საქართველოს უკანასკნელ დროს დააწვა — ომი, მსხვერპლი, 500 000-მდე დევნილი, ტერიტორიების დაკარგვა, — ყველაფერი ეს რუსეთის, როგორც ზეძლიერი სახელმწიფოს, ხელით მოხდა. შეიძლება მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მოხდა სრულიად შეგნებულად და მიზანმიმართულად, — ამას, კერძოდ, ისიც მიუთითებს, რომ რუსეთი არა მარტო იარაღით დაუპირისპირდა საქართველოს, არამედ, იდეოლოგიურადაც: იგი მსოფლიოში ერთადერთი დიდი ქვეყანაა, რომელსაც თავის გლობალურ საინფორმაციო პოლიტიკაში, ჯერ ერთი, ერთ-ერთ მთავარ პუნქტად აქვს საქართველო, მეორეც, კონკრეტულად — საქართველოსთან დაკავშირებული სინამდვილის გაყალბება, მიმართული საქართველოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.*

რუსეთი უნდა ხედავდეს იმასაც, რომ სამაგიეროდ საქართველოში არც ერთ რუსს თავიდან ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდნია, საყვედურის არც ერთი სიტყვა არ მოუსმენია — მაშინაც, როდესაც რუსული ტანკები საქართველოში შემოვიდნენ და თბილისისკენ იყვნენ მომართული.

უნდა ხედავდეს იმასაც, რომ, ბევრი ქართველი, აღმოჩნდა რა განგების ძალით იმპერიის თუ კავშირის მოქალაქე, იყო რუსეთის განსაკუთრებული პატრიოტი.** ისევე, როგორც საქართველოს უნდა ახსოვდეს, რომ მის გადარჩენაში თავის დროზე რუსეთსაც მიუძღვის თავისი წვლილი. რუსეთს უნდა ესმოდეს ისიც, რომ იგივე საქართველო პერსპექტივაში დღესაც მისი ყველაზე ბუნებრივი მოკავშირეა. თუ მას კავკასიის რეგიონში რეალური ლიდერობა უნდა, მთავარი მოკავშირის როლში ტყუილად ეძებს სხვა ქვეყნებს, — ეს მისი ტრადიციული შეცდომაა, მოყოლებული მე-19 ს-დან (ეს უნდა ესმოდეთ სხვა სახელმწიფოებსაც, ვისაც აქ ლიდერობა უნდა); ყველაფერთან ერთად, საქართველო, როგორც რეგიონში ავტოხთონი ერების ერთ-ერთი წარმომადგენელი, კავკასიაში ისტორიულად და პერსპექტიულად ცენტრალური და ყველასათვის მისაღები სახელმწიფოა და მხოლოდ მას, გამომდინარე მისი, როგორც ერის, მენტალიტეტიდან, შეუძლია კავკასიური ელემენტების კონსოლიდირება, — ამიტომ რუსეთი საქართველოსგან მტერს კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ მოკავშირეს.

მთავარია, მას ახსოვდეს, რომ ზედიდ სახელმწიფოს ყველაფერი არ შეუძლია: თუ მისი მთავარი და ერთადერთი მიზანია განუწყვეტელი დესტაბილიზაციის შექმნა პატარა ქვეყანაში ან თუნდაც მისი განადგურება, მას ეს, ალბათ, შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია ამით საკუთარი თავის გადარჩენა და საკუთარი თავისთვის პერსპექტიული პოზიციის შექმნა. პატარა ქვეყანას ზედიდი ქვეყნის დანგრევა არ შეუძლია, მაგრამ ზედიდი ქვეყნისთვის პატარა ქვეყნის დანგრევა არ შეიძლება, რადგანაც ამ დროს იგი საკუთარ თავსაც დაანგრევს, — ზედიდ ქვეყანას მხოლოდ ორივეს დანგრევა შეუძლია, ერთდროულად (სხვათა შორის, ზედიდიც და ზეპატარა სახელმწიფოც ერთნაირად შეუძლია დაანგრიოს გეოფიზიკურ, გეოლოგიურ, თუ სტიქიურ კატასტროფებს); ეს არის თანამედროვე, ახალი სამყაროს სპეციფიკა.

საქართველოს ბედი გარკვეულწილად ნამდვილად არის დამოკიდებული რუსეთის პოზიციაზე, მაგრამ რუსეთის ბედიც დღეს საქართველოზეა დამოკიდებული. ეს ერთ-ერთი რეალური გამოხატულებაა იმ შეზღუდვებისა, რომელთაც ისტორია კანონზომიერად ადებს ზედიდი სახელმწიფოების არსებობას. რუსეთი (მინდა გავიმეორო ჩემი აზრი) მხოლოდ ზედიდი სახელმწიფო შეიძლება იყოს.

ზედიდი სახელმწიფო, ეს რუსული იდეაა.

საქართველო დღეს რუსეთის — ზედიდი სახელმწიფოს — გამოცდაა.



ეს ქართული იდეაა მოქმედებაში, თავის ერთ-ერთ გამოხატულებაში.

აპოლონ სილაგაძე.

*აქ რუსეთი, სამწუხაროდ, იმდენად თანმიმდევრულია, რომ ამ ამოცანას დღეს არც თავის შიგნით, ადგილობრივ საქმეებში, ივიწყებს და, მაგალითად, მოსკოვის მოსახლეობის აღრიცხვისას ქართველებს აბსურდულ კატეგორიებად ჰყოფს — მეგრელი, სვანი, აჭარელი და ა.შ. თანმიმდევრულობა იმაშიც გამოიხატება, რომ ეს კონკრეტული იდეოლოგიური ხერხი სათავეს იმპერიის დროიდან იღებს, როდესაც რუსული ოფიციალური წყაროები ცალ-ცალკე გამოჰყოფდნენ ქართველებს, იმერლებს, გურულებს, სამურზაყანოელებს (!) და ა.შ. (იხ., მაგ., ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ გერშელმანის წერილი №54 1890 წ. 3 აგვისტოსი, — იხ. ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904), თბილისი, 1999). ასე გრძელდებოდა საბჭოთა წლებშიც — ერთი, თავის დროზე გახმაურებული, მაგალითი: მოსკოვში გამოცემულ ერთ-ერთ წიგნს, თარგმნილს ქართულიდან, რუსულად, ეწერა: „Перевод с аджарского“.

ამავე ასპექტში — კიდევ ორი საინტერესო მომენტი. ერთი: ასეთი დეტალიზებულად გამყალბებელი პოზიცია მოსკოვს პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოს მიმართ ჰქონდა. მეორე: ამ ტიპის აქციების გვერდით, პარალელურად, სხვადასხვა ეროვნების არაანგაჟირებული წარმომადგენლები დროდადრო სრულიად სხვას — ანუ სიმართლეს — წერდნენ; იხ., მაგ., ცნობილი მოსკოველი ლინგვისტის, ეროვნებით ოსის, პროფ. ვას. აბაევის გამონათქვამი: „კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და რუსეთს შორის, ამ საზღვრის წაშლის ყოველი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ ორ ხალხს შორის ურთიერთობები დაუბრუნდეს ტრადიციული მეგობრობის კალაპოტს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, შეწყდეს ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის გამოყოფაზე საქართველოდან. ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთელ ოსებსა და ქართველებს შორის, სამუდამოდ უნდა უარყოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან მიერთების იდეა. ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, იმანაც თავი უნდა დაანებოს ამ იდეას. ასეთია რეალობა“ (ციტატა იხ. — გაზ. „სვობოდნაია გრუზია“, №80, 1992; გადმობეჭდილია — გაზ. „ნეზავისიმაია გაზეტა“, №13, 1992).

** ლ. ტროცკი: „ქართველი რომ ველიკორუსული ტენდენციების წარმომადგენელი გამხდარიყო, ასეთი პარადოქსები ისტორიაში არაერთხელ ყოფილა“ (ლ. ტროცკი, სტალინი, ტ. II).

მე ასე ვფიქრობ

# მომავალი საქართველო უწინარესად ქართველთა სიმრავლეა

**ზოგჯერ იფიქრებ კაცი, ჩვენს ქვეყანას იმდენი პრობლემატური საკითხი დაუგროვდა გადასაწყვეტი, რომ დემოგრაფიული მდგომარეობის რიგი ჯერ არ დამდგარაო. არადა, ეს საკითხი, საქართველოს დღევანდელ პირობებში, ყველაზე პრიორიტეტულია.**

ის, რაც საბჭოთა პერიოდიდან არის გადმოსაღები, ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო სწორედ ეს საკითხია. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული აჭარისა და სვანეთის რაიონებიდან ოჯახების გადმოსახლება საქართველოს დემოგრაფიულად სუსტ რაიონებში (რაც, ვიმეორებ, სრულებითაც არ არის სათაკილო და დასამალიძ ორ საკითხს წყვეტდა: ვუშველოდით უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს და იქ, სადაც ეს საჭირო იყო, ვაუმჯობესებდით დემოგრაფიულ სიტუაციას ჩვენი ერის სასარგებლოდ. საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ხორციელდებოდა ქართველი და არაქართველი ადამიანების სრული თანხმობითა და შეხმატკბილებით. მე როგორც ამ საქმის კურატორი საქართველოს მთავრობის აპარატიდან, მოწმე ვარ იმისა, თუ როგორი კეთილსინდისიერებით, ენთუზიაზმითა და სიხარულითაც კი შრომობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები სტიქიის შედეგად ღია ცის ქვეშ დარჩენილი ქართველებისათვის სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე ახალქალაქის, ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში.

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას ქართველი ხალხის საზღვარგარეთ მასობრივი გახიზნვა ამწვავებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება მათ დასაბრუნებლად ქმედით ღონისძიებებს განახორციელებს. ამ მხრივ დიდ იმედს იძლევა პრეზიდენტის ამასწინანდელი გამონათქვამიც.

ქართველი ხალხის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას ძალზე სასარგებლოდ წაადგება რიგ ღონისძიებათა განხორციელება საყოფაცხოვრებო საკითხებში. ასეთ — საკითხებად გვესახება მშობიარობაზე გადასახადების შეკვეცა, ახალდაქორწინებულების მიმართ სხვადასხვა სახით ზრუნვის გამოხატვა (აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა ბიზნესმენებმაცძ. კარგი იქნებოდა, მათთვის აღმოგვეჩინა დახმარება სამუშაო ადგილების შოვნაში, რაიმე ფორმით შეგვემსუბუქებია ბინის პრობლემაც. ხელმოკლე ახალგაზრდა ოჯახებისთვის შეიძლება მოეწყოს საბავშვო ბაგა-ბაღები და საზაფხულო აგარაკები უფასო კვებით. მათი შვილებისთვის სკოლებშიდაც შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეღავათები, შეღავათები გავრცელდეს კომუნალურ გადასახადებზეც.

საერთოდ კი ახალგაზრდებს უნდა გავუფანტოთ ოჯახის შექმნის შიში.

ქართველ ხალხში სხვა ერების მიმართ პატივისცემის ოდითგანვე დამკვიდრებული გრძნობა ღვთისგან ნაბოძები და კეთილშობილურია, მაგრამ მის ფესვებში სარეველას გაჩენას უნდა ვებრძოლოთ, ანუ ეს გრძნობა გარკვეული ნორმის ფარგლებში უნდა მოვაქციოთ და არ დაუშვათ, რომ მან თვითდინებაზე მიშვების შედეგად ერისათვის საზიანო სახე მიიღოს. დროა, დასკვნები გავაკეთოდ წარსულში დაშვებული ასეთ შეცდომებიდან. სწორედ სხვა ეროვნების ხალხის მიერ უპირატესობის მისაღწევად მიზანდასახული ღონისძიებების განხორციელების გზით შეირყა და დაზიანდა ძირითადი ერის დემოგრაფიული მდგომარეობა აფხაზეთში. ანალოგიური პროცესის ნიშნებია დღეს აჭარაში.

კვლავ ღმერთს მივმართავ — მან დაგვიფაროს იმისგან, რომ მეზობელი და მეგობარი ქვეყნის ხალხებს პატივი არ ვცეთ და დავუკაოთ ჩვენი აგარაკები დასასვენებლად, მაგრამ ამავე დროს მთელი სიმკაცრით უნდა აღიკვეცოს დაპატრონების ტენდენციები. იქამდეც კი, რომ მკაცრად მოეთხოვოს ამის ხელშემწყობი მზაკვრული გარიგებისათვის ორივე მხარეს (იგულისხმება მიწის ნაკვეთებისა და სახლების ყიდვა-გაყიდვაძ. კიდევ ვიმეორებ,



აქ ყველაფერი უნდა განხორციელდეს არა ნაციონალურ-შოვინისტური გრძნობების ფონზე, არამედ კანონზომიერად, ცივილიზებულ ფორმებში, ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაციის შექმნის გარეშე, ამავე დროს გულწრფელად და დაუფარავად. დასამალი ამ მოქმედებაში არაფერია, ეს ნებისმიერი ერის ზრუნვის საგანია და ჩვენ გამონაკლისს არ უნდა წარმოვადგენდეთ (სხვათა შორის, ამას სხვა ერები ჩვენზე გაცილებით უკეთ აგვარებენძ. ჩვენო ძმებო და მეზობლებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო, ქურთებო — თქვენ რომ პატივს არ გცემდეთ, განა ასე ფეხმოკიდებული და გალაღებული იცხოვრებდით ჩვენს მიწაზე. გადახედეთ მსოფლიო ხალხების ისტორიას და დარწმუნდებით, რომ ყველა ქვეყანაში დაუსრულებელი ბრძოლაა ძირითად ერსა და ეროვნულ უმცირესობათა, ანუ არაძირითად ერებს შორის. საქართველოში კი ეს არ ყოფილა და, თუ ყოფილა, მხოლოდ სხვისი „ხელშეწყობით“. ჩვენ ჩვენი ერის სასიკეთოდ თუ რაიმე ღონეს ვიხმართ, ეს თქვენთვის საწყენი არ უნდა იყოს. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ჩვენი ასეთი ღონისძიება არავითარ შემთხვევაში არ გახდეს თქვენთვის საზიანო. ისე კი, გულახდილათ რომ ვთქვათ — როგორ, თქვენ არ ცდილობთ თქვენი ერისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას?! ცდილობთ და მერე როგორ! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ეს ჩვენ ნორმალურად მიგვაჩნია და არც გვაკვირვებს, მხოლოდ, გაფრთხილებთ (გინდათ, გთხოვთძ არ იყოს ეს მიმართული თქვენი კეთილისმსურველი ქართველი ერის საზიანოდ.

გამორიცხული არ არის, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გასათვალისწინებლად არსებული კანონის ზოგიერთი პუნქტის კორექტირებაც კი გახდეს საჭირო. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლების ჩარევაა საჭირო.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი**

შვილიშვილის სარჩელი

## იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

- კატინი. გამოუცხადებელი ომის ტყვეები. დოკუმენტები და მასალები. რ. გ. პიხოის და ა. გეიშტორის რედაქციით. შემდგენლები ნ. ს. ლებედევი და სხვ. მ. 1979;
- კატინი. 1040 წლის მარტი – 2000 წლის სექტემბერი. დახვრეტა. ცოცხლების ბედი. კატინის ექო. დოკუმენტები ვ. პ. კოზლოვისა და დ. ნელენჩის რედაქციით. შემდგენლები ნ. ს. ლებედევი და სხვ. მ. 2001.

ჩვენ მზად ვართ წარვუდგინოთ ეს კრებულები სასამართლოს გაცნობისა და შესწავლისთვის. მათში არის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იაბლოკოვის გამონათქვამების სისწორეს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ა. იაბლოკოვის შუამდგომლობას მთავარი სამხედრო პროკურატურიდან №159 საქმის (კატინის საქმეძ და პ. ა. სუდოპლატოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვის შესახებ. ამ საქმეებში არის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც შეეხება სტალინის პირად მონაწილეობას პოლიტიკურ რეპრესიებში, მათ შორის იმ მკვლელობათა შესახებ, რომლებიც მოხდა მისი პირადი მითითებით, რომელიმე სახელმწიფო ან პარტიული ორგანოს ნებისმიერი სანქციის გარეშე, აგრეთვე ინფორმაცია 1940 წლის გაზაფხულზე პოლონელებისა და პოლონეთის მოქალაქეების დაგმობისა და დახვრეტის შესახებ სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

პროცესის მომდევნო პროცედურებზე ჩვენ განზრახული გვაქვს წარმოვადგინოთ დამატებითი უარყოფა, დადასტურებანი, მათ შორის სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტი. ამას გარდა, მიმოხილვისთვის, სინამდვილის დამოწმებისთვის, აგრეთვე დოკუმენტებისა და ფაქტების ინტერპრეტაციისთვის, რასაც სასამართლო გამოიკვლევს, ჩვენ ვაპირებთ გამოვიძახოთ სასამართლოში მოწმეებად ისტორიკოსები და სხვა სპეციალისტები.

ისტორიულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, სამართალდამცავი საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე ი. ბ. როჩინსკი“.

## თავი 2

### მხარეების ახსნა-განმარტებანი

### თავისუფალი სიტყვის მოყვარულები

მაშ ასე, 8 ოქტომბერს, 14.00 საათზე ბასმანის სასამართლოში დაიწყო რუსეთში პირველი სტალინის პატივისა და ღირსების დაცვის სხდომა.

რამ აღგვაშფოთა უმალვე – რეზნიკმა გამოაცხადა პროტესტი ჩვენი თხოვნის წინააღმდეგ, რომ მომხდარიყო სასამართლო პროცესის დოკუმენტური ვიდეოჩანაწერა იმ საფუძველზე, რომ რახან ჩვენ ვართ სტალინელები, ამიტომ დავამახინჯებთ სასამართლოს სხდომას! ვინ ამბობს ამას?

ლ. ნ. ჟურამ იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ მოპასუხეებისგან მიიღო CD დისკი საქმის დადასტურების სახით, შეიტანა შუამდგომლობა:

„პატივცემულო სასამართლოვ!

ჩვენი ამოცანის სირთულე შემდეგია. სადავო სტატია არა მხოლოდ შეიცავს ცილისმწამებლურ ცნობებს სტალინის შესახებ, არამედ ის ცილისმწამებლურად ამახინჯებს ჩვენი სამშობლოს იმ პერიოდის შესაბამის ეპიზოდებს. და თქვენ, პატივცემულო სასამართლოვ, მინიმუმ უკვე 20 წელია მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაში ხედავთ და ისმენთ მხოლოდ ამ ცილისწამებას რუსეთზე, ვინაიდან მე ნაკლებ სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ თქვენ პირადად სწავლობთ ისტორიულ დოკუმენტებსა და იცნობთ იმ ისტორიულ ფაქტებს, რაზეც უბრალოდ დუმან.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ შევძლებთ დავუდასტუროთ სასამართლოს ი. ბ. სტალინის შესახებ ცნობების სინამდვილის შეუსაბამობა, თუ შემცირებულად არ გავაკეთებთ იმას, რაც უკვე გააკეთეს მოპასუხეებმა – არ ვუჩვენებთ სასამართლოს, თუ როგორ გამოიყურება სინამდვილეში სადავო სტატიაში ხსენებული ჩვენი ისტორიის ეს ორი ეპიზოდი – სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის დადება და კატინის შესახებ.

ეს – პირველ ყოვლისა. მეორეც, მოპასუხეებმა უკვე წარმოადგინეს თავიანთი უარყოფა, რომელშიც იგრიხებოდნენ, ცდილობდნენ გვერდი აევლოთ სარჩელის საგნისთვის და შეეცვალათ იგი ამ საქმისგან განსხვავებული საუბრებით. ეს მოჩანს არა მხოლოდ სასამართლოზე მოპასუხეთა მხარეზე გამომსვლელთა რაოდენობის მიხედვით, არამედ იმ დამადასტურებელი საბუთების ჩამონათვალიდანაც, რისი მოსმენითაც მოპასუხეებს სურთ დატვირთონ სასამართლო. მოპასუხეთა ამგვარი ქცევა ჩვენგან მოითხოვს შესაბამის შეფასებას ჩვენს განმარტებებში, რასთან დაკავშირებითაც ჩვენი განმარტებანი ხდება მეტად გრძელი და დამქანცველი როგორც წასაკითხად, ისე მოსასმენად.

ამიტომ, პატივცემულო სასამართლოვ, სადავო სტატიაში აღწერილი ჩვენი ისტორიის ორ ეპიზოდზე ჩვენ მოვამზადეთ განმარტება ორი ვიდეოფილმის სახით: სსრ კავშირისა და გერმანიის პაქტთან დაკავშირებით 16,5 წუთის ხანგრძლივობით და კატინის საქმეზე 58 წუთის ხანგრძლივობით.

ჩვენ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სასამართლომ არა მხოლოდ მოისმინოს სსრ კავშირსა და გერმანიას შორის პაქტის ინტერესების სფეროს შესახებ, რაზეც მოხსენებულია სადავო სტატიაში, არამედ რუკაზეც ნახოს, როგორ გადიოდა ამ სფეროს საზღვარი, და რატომ გადიოდა იგი სწორედ იქ და არა სხვა ადგილზე. ჩვენ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად, რომ სასამართლომ არა მხოლოდ მოისმინოს სადავო სტატიაში ხსენებული ხარკოვთან და ტვერთან სასაფლაოების ექსგუმაციის შესახებ, არამედ დაინახოს კიდეც, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ექსგუმაცია და რა აღმოაჩინეს. ჩვენ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად, რომ სასამართლომ არა მხოლოდ მოუსმინოს სადავო სტატიაში ხსენებულ მოწმეებს კატინის საქმესთან დაკავშირებით, არამედ იხილოს კიდეც ისინი.




ამიტომ ჩვენ ვთხოვთ სასამართლოს მიიღოს ჩვენგან განმარტება შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ვნახოთ ჩვენი ვიდეოგანმარტებანი სადავო სტატიაში წამოჭრილი საკითხების არსთან დაკავშირებით, შემდეგ მოვისმინოთ ჩვენი წერილობითი განმარტებანი მოპასუხეთა უარყოფის არსთან დაკავშირებით.

მოსამართლე მისჩერებოდა რეზნიკს, როგორც მშობელ მამას, ამიტომ მან, სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლმა, კვლავ თავხედურად გააპროტესტა ვიდეოფილმების ჩვენება იმ საფუძველზე, რომ სასამართლოს სხდომები, ხომ ხედავთ, მიმდინარეობს ზეპირად. ვიდეოფილმის ტექსტი კი – როგორია, წერილობითია? მოსამართლემ უარი გვითხრა ამ თხოვნაზე, და მე იძულებული ვიყავი მომეთხრო ორივე ფილმის შინაარსი. შემდგომი შუამდგომლობის ტექსტის გამოქვეყნების გათვალისწინებით შესვენებისთვის, ლამის ორსაათიანი ლაპარაკის შემდეგ ერთი ციცქნა დახუთული დარბაზიდან მე მთლად სველი გამოვედი.

მოსამართლე თვალებში შესციცინებდა რეზნიკს და უარი გვითხრა საკონსტიტუციო სასამართლოდან „სკკ პარტიის საქმეზე“ სტენოგრამის მიღებასთან დაკავშირებით, როდესაც კატინის საკითხს განიხილავდნენ.

მე ასეთი შუამდგომლობა შევიტანე:

„პატივცემულო სასამართლოვ! 59-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ დაავალდებულოთ მოპასუხეები დაიცვან დადასტურებათა შეფარდებითობა.

1. მოპასუხეები ამტკიცებენ: *„სტალინი და სკპ (ბძ პოლიტბიუროს წევრები,* ***რომლებმაც გამოიტანეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება პოლონელთა დახვრეტის შესახებ,*** *გადაურჩნენ მორალურ პასუხისმგებლობას უმძიმესი დანაშაულისთვის“.* გთხოვთ დაავალდებულოთ მოპასუხეები წარმოადგინონ საკანონმდებლო აქტი ან იმ წლების ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც შემსრულებლებს უთითებენ დახვრიტონ ხალხი პოლიტბიუროს და სტალინის მითითებით.

პატივცემულო სასამართლოვ! თუ დავწერ, რომ მოსკოვის მოსამართლეებისთვის აუცილებელია ლუჭკოვის გადაწყვეტილებათა შესრულება, მაშინ ლუჭკოვი იჩივლებს სასამართლოში და მისი წარმომადგენელი მომთხოვს დამამტკიცებელ დოკუმენტს მოსამართლეების ამ ვალდებულებათა შესახებ, და არა მოსკოვის სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესახებ. და ლუჭკოვი მოიგებს საქმეს, როგორც უკვე იყო ხოლმე, სხვათა შორის ნებისმიერი სხვა ქალაქის სასამართლოში, ვინაიდან თანამდებობის პირთა ვალდებულებანი უსათუოდ არის მითითებული ნორმატიულ დოკუმენტებში. ჩვენც მეტს არ ვითხოვთ, რასაც მოითხოვდა ლუჭკოვი – წარმოდგენილი იქნეს საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დოკუმენტი, როგორც მოპასუხეთა ამ მტკიცების დადასტურება.

2. მოპასუხეები ამტკიცებენ: *„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმებით გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირს, მიუხედავად პოლონეთთან მოქმედი ხელშეკრულებისა თავდაუსხმელობის შესახებ,* ***მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის მხარეს პოლონეთზე თავდასხმაში.*** *მას შემდეგ, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ დაიწყო ომი პოლონეთთან, სსრ კავშირი, თავისი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, 1939 წლის 17 სექტემბერს შეიჭრა პოლონეთში“.*

ვთხოვთ მოპასუხეებს, სხდომის თავმჯდომარის მაგიდაზე დადონ პაქტისა და საიდუმლო ოქმის ტექსტი და მიუთითონ, თუ სად არის დოკუმენტში მითითებული, რომ სსრ კავშირს ***„მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის მხარეს პოლონეთზე თავდასხმაში“, ანდა მისი ვალდებულება გერმანიის წინაშე*** ამასთან დაკავშირებით.

3. მოპასუხეები ამტკიცებენ: *„გამოძიების დროს დადგინდა, რომ მართლაც* ***14700 პოლონელი სამხედრო ტყვე შინსახკომის სამი ბანაკიდან და 7305 პოლონელი მოქალაქე,*** *რომლებიც იყვნენ დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელარუსის ციხეებში,* ***სკპ (ბ) პოლიტბიუროს დადგენილებით*** *1940 წლის აპრილ-მაისში დახვრიტეს სსრ კავშირის შინსახკომის თანამშრომლებმა და დამარხეს უკრაინის შინსახკომის აგარაკების ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში“,* – აგრეთვე ***„პირველად იქნა დოკუმენტურად დადასტურებული,*** *რომ კატინის დანაშაულის დაახლოებით 22 ათასი მსხვერპლი სიკვდილით დასაჯეს სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით – პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით, როგორც „საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელი მტრები... ეროვნებით 97 პროცენტზე მეტი პოლონელი“.*

ამ მტკიცებულებათა დასადასტურებლად მოპასუხეები სთხოვენ სასამართლოს ერთობლივ წინასწარ წინააღმდეგობას: *„ჩვენ მხარს ვუჭერთ მოპასუხე ა. იაბლოკოვის შუამდგომლობას რამდენიმე დოკუმენტის ასლის გამოთხოვის შესახებ რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივიდან (ადრე ისინი ინახებოდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივშიძ, რომლებიც აუცილებელია იაბლოკოვის მტკიცების ჭეშმარიტების დასადასტურებლად სტალინისა და პოლიტბიუროს როლის შესახებ პოლონელებისა და პოლონეთის მოქალაქეების დახვრეტაში 1940 წლის გაზაფხულზე, რასაც სადავოდ ხდის მოსარჩელე ჯუღაშვილი.*

*1ძ ლ. პ. ბერიას წერილი ი. ბ. სტალინს (არაუგვიანეს 1940 წლის 5 მარტისაძ წინადადებით – დაიხვრიტონ უკრაინისა და ბელარუსის დასავლეთის ოლქების სამხედრო ტყვეთა სამ ციხეში მყოფი პოლონელი ოფიცრები და სხვები – სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების რეზოლუციით.*

*2ძ სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის №.პ144 გადაწყვეტილების ოქმის ამონაწერი პოლონელ სამხედრო ტყვეთა შესახებ.*

*3ძ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. შელეპინის 1959 წლის №632-შჩ წერილი ნ. სახრუშჩოვისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტით იმ ოპერაციის საქმის განადგურების შესახებ, რომელიც სანქციონირებული იყო სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის №632-შჩ გადაწყვეტილებით“.*

ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ ამ შუამდგომლობას, მაგრამ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ არქივიდან მივიღოთ დოკუმენტების ასლები პაკეტიდან, მათ შორის პაკეტის ასლი და შელეპინის მისამართით გაგზავნილი პოლიტბიუროს დადგენილება, თავად ოქმი და დანარჩენი დოკუმენტები, სულ 14 ფურცელი – ვინაიდან პაკეტის დანარჩენი დოკუმენტებიც განეკუთვნება მოპასუხის მტკიცებულებებს.

4. მოპასუხეები ამტკიცებენ: ***„მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტების სისწორეს ადასტურებენ სსრ კავშირის შინსახკომის ყოფილი თავმჯდომარე შელეპინი,*** *სსრ კავშირის შინსახკომის სამხედრო ტყვეთა საქმეების სასამართლოს ყოფილი უფროსი ტოკარევი და სხვები, ამ დოკუმენტების სისწორე კიდევ დამატებით გულდასმით იქნა შესწავლილი“.*

ამ მტკიცებით შეფარდებითი დადასტურებაა გამომძიებლის დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ პაკეტის დოკუმენტის პუნქტ 3-ზე, ექსპერტიზის დასკვნა, შელეპინის, სოპრუნენკოს და ტოკარევის ყველა დაკითხვის სრული ოქმები.

5. მოპასუხეები ამტკიცებენ: *„ამ მასობრივი მკვლელობის ვითარება დასტურდება არა მხოლოდ ამ დოკუმენტებით, არამედ მოწმეების ჩვენებითა და დაკრძალვის ადგილებში ექსგუმაციის მასალებით“.*

*ამ მტკიცებათა სათანადო დადასტურებაა იმ* ***ექსგუმაციის შემაჯამებელი დოკუმენტები, რომელიც მოაწყო გამოძიებამ სმოლენსკის, კალინინისა და ხარკოვის ოლქებში.***

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით და 57.1 მუხლზე დაყრდნობით, სასამართლოს ვთხოვთ შესთავაზოს მოპასუხეებს წარმოადგინონ აღნიშნული მტკიცებულებანი, ხოლო თუ ისინი მოითხოვენ შუამდგომლობას დახმარების შესახებ, გაეწიოს მათ ეს დახმარება.

არ ვიცი, დიდად გაოცდებით თუ არა, როდესაც გაიგებთ, რომ სასამართლომ უარი მითხრა ამაზეც, რისი წყალობითაც მოპასუხეებმა დაიწყეს საქმის განხილვის თოქ-შოუდ გადაქცევა, რომელშიც წამყვანს წარმოადგენაც არა აქვს, თუ რაზე ლაპარაკობენ გამომსვლელები, მაყურებელს კი ვერ გაუგია, რატომ ჩართო ტელევიზორი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-158.

ჩვენი ბიბლიოთეკა

ბრიდა კიდევ დიდხანს იწვა ლოგინში, სანამ ბოლოს არ გადაწყვიტა, რომ წამომდგარიყო და ყავა წამოედუღებინა. ყმაწვილქალს თავისდა უნებურად დაეუფლა გაბედულება, და ახლა უკვე მზად იყო, რომ შეხვედროდა კიდევ ერთ დღეს, კიდევ ერთ „ყოველდღიურობის ღამეულ წყვდიადს“, როგორც ტყეში ყოფნის შემდეგ მიეჩვია თქმას. აღარ დაყოვნებულა, ყავა მოიმზადა, საათს დახედა და დარწმუნდა, რომ დრო ჯერეთ კიდევ ბევრი იყო.

მერე თაროსთან მივიდა და წიგნებშუა ფურცელი მოიძია, წიგნის მაღაზიის პატრონის მიცემული. „არც სხვა გზებია ცოტა, – თავს ინუგეშებდა ბრიდა. – თუ მოგვამდე მისვლა შევძელი, თუ უიკასთან შეხვედრა მოვახერხე, მაშასადამე, ისეთ კაცსაც ვნახავ, ვინც მასწავლის, რა უნდა ვქნა, რომ რამე გამომივიდეს“.

ამას ის გუნებაში იმეორებდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ოდენ ცარიელი სიტყვები იყო.

„მთელი ცხოვრება სულ რაღაცას ვიწყებ და შუაგზაზე ვანებებ თავს, – გულმოწურულმა გაიფიქრა ბრიდამ. იქნებ ცხოვრება სულაც მალე მიხვდეს ამ ამბავს და აგრერიგად აღარ გაანებივროს თავისი გამუდმებული შესაძლებლობებით. ანდა იქნებ სულაც სუყველა გზა გადაუკეტოს, ვიდრე ბრიდა თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმას მოასწრებდეს.

მაგრამ ჯერჯერობით ის ისეთი იყო, როგორიც ყოველთვის, და გრძნობდა, როგორ უორთქლდებოდა ძალაცა და გაბედულებაც, ამ ორთავესთან ერთად კი – ცვლილების შესაძლებლობაც. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ ის ჯერეთ კიდევ სამდურავს არ ულევდა თავის თავს, ჯერეც კიდევ შეეძლო გასაბედი ნაბიჯის გადადგმა, აწ კი საკუთარ შეცდომებთან შეგუება ისწავლა. მან იცოდა, რომ სხვათა თავსაც იგივე ხდება: ის სხვანი იმზომ ეჩვევიან თავიანთ ყოველგვარ მარცხს თუ ხელის მოცარვას, რომ თანდათან ერთმანეთში ურევენ თავიანთსავე ავსა და კარგს, უკეთურებას ღირსებისგან ვერ არჩევენ. ასეთ დროს კი უკვე გვიანია საკუთარ ცხოვრებაში რისამე შეცვლა.

იქნებ არც ღირდეს უიკასთან დარეკვა და უბრალოდ გაქრეს, გაუჩინარდეს? მაგრამ წიგნის მაღაზიას რა უყოს? იქაც აღარ მივიდეს? მაღაზიის პატრონი უთუოდ ძალიან განაწყენდება. „რამდენჯერ ყოფილა, რომ ერთი დაუფიქრებელი ხელის გაქნევით მავანი და მავანი გამინაწყენებია და ამის გამო ჩემთვის ძვირფასი სხვა ადამიანებიც დამიკარგავს“. არა, აგრე აღარ მოიქცევა. ახლა ისეთ გზას დაადგა, რომ ამ გზაზე დამყარებულ მნიშვნელოვან კავშირურთიერთობას ხელახლა ძნელად თუ გააბამს.

ბოლოს, როგორც იყო, გაბედა და, წეღან რომ წიგნებშუა ქაღალდი იპოვა, იქ მითითებული ნომერი აკრიფა. უიკამ თითქმის მაშინვე აიღო ყურმილი, მეორე ზარის შემდეგ.

– ხვალ ვერ მოვალ.

– ვერც მეწყალსადენე მოვა, – მიუგო უიკამ, და ბრიდა რამდენიმე წამს გაოგნდა, ვერ გაეგო, რას ნიშნავდა პასუხად გაგონილი ეს სიტყვები.

მაგრამ უიკა უმალ აწუწუნდა, სამზარეულოში ბაკანი გამეჭედა, ზეინკალი რამდენჯერმე გამოვიძახე, ის კი არა და არა ჩანსო. მერე თავიანთი ძველი აშენებული სახლის ბინებზე გააბა ლაპარაკი, გარედან მტერს უბრმავებენ თვალებს, შიგნით კი ლამის ყველაფერი დაინგრესო, და უცებ სრულიად უსაზმნოდ გადააბრუნა სიტყვა:

– ბანქო მანდვე გაქვს?

გაოცებულმა ბრიდამ, დიახო, მიუგო. მიდი, მაგიდაზე გაშალეო, სთხოვა უიკამ, ბარემ მეწყალსადენეს ამბავსაც გავიგებ, დილაზე მოვა თუ არაო.

ბრიდა, კიდევ უფრო გაოცებული, მყის დაემორჩილა. ბანქო გაშალა და უაზროდ დააშტერდა შემდგომ მითითებათა მოლოდინში. ის სითამამე, რა სითამამითაც დაურეკა უიკას, ეგრევე გაუქრა და ახლა უკვე იმის თქმის თავიც არა ჰქონდა, რატომ აკრიფა ამ ქალის ნომერი.

უიკა ენად გაიკრიფა, და ბრიდა მოთმინებით უსმენდა, არ აწყვეტინებდა. უნდოდა, რომ ის ისევ კეთილმოსურნედ და მეგობრად შეენარჩუნებინა. ვინ იცის, უიკამ ეგების მეტი გულმოწყალება გამოიჩინოს და მთვარის ტრადიციის კიდევ უფრო მარტივ ხერხს აზიაროს.

უიკამ კი ამასობაში ყველაფერი თქვა, რაც მეწყალსადენეზე გულში ჰქონდა დაგუბებული, და სიტყვა კვლავ გადააბრუნა: ახლა იმაზე ალაპარაკდა, თუ რა შავი დღე აყარა იმ დილას მავან მმართველს კონსიერჟის ჯამაგირისა გამო. მერმე კი პენსიების თაობაზე ცოტა ხნის წინათ ნახული რეპორტაჟი გაიხსენა.

ბრიდა ყველა ამ ამბავს, უიკას მონაყოლს, დროდადრო მოწონების ზმუილს უნაცვლებდა. ყველაფერს ეთანხმებოდა, რასაც უიკა ეუბნებოდა, მაგრამ სახელდობრ რას ელაპარაკებოდა, კარგად არ ესმოდა, რადგან უკვე ყურადღებაგაფანტული უსმენდა. და თანდათან საშინელი ნაღველი შემოაწვა: თავის ცხოვრებაში არცრა ახსოვდა ამაზე უფრო  მოსაწყენი, გულის გამაწვრილებელი, ვიდრე ამ თითქმის უცნობ ქალთან საუბარი იყო მეწყალსადენეებზე, კონსიერჟებსა და პენსიებზე. და მაგიდაზე გაშლილ ბანქოზე სცადა ყურადღების გადატანა, სუყოველ ქაღალდზე ისეთ რაღაც-რაღაც წვრილმან რასმე ამჩნევდა, რაც ადრე მხედველობიდან რჩებოდა.

უიკა შიგადაშიგ კითხვას უმეორებდა: „მისმენ?“ – და ბრიდა დასტურად „ჰოოს“-ს ეუბნებოდა, მაგრამ აზრებით სულ სხვაგან იყო, სადაც სიცოცხლეში არცროდის ფეხი არ დაედგა, და თითოეული სურათის ამა თუ იმ დეტალს სულ უფრო და უფრო შორს, სადმე ბიამან ადგილას გადაჰყავდა.

და უცაბედად, როგორც რომ სიზმარში, ბრიდამ ბუნდად იაზრიკვალა, რომ უკვე აღარ ესმოდა უიკას სიტყვები. ხმა, რომელიც თითქოსდა გულმუცლიდან ამოსდიოდა – თუმცა იცოდა, რომ გარედან ეყურებოდა, – რაღაცას ჩასჩურჩულებდა:„გესმის?“ – და ბრიდა პასუხად, მესმისო, ეუბნებოდა. „მართალი ხარ, ნამდვილად გესმის“, – წარმოთქვა იდუმალმა ხმამ.

ოღონდ ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. გაშლილმა ბანქომ თვალწინ ათასგვარი ფანტასმაგორიული სცენა დაუყენა: აღმა-დაღმა დარბოდა რამდენიმე ბრინჯაოსფრად გარუჯული, ზეთისგან ალაპლაპებული ნახევრად შიშველი სხეული, შიგადაშიგ სახეებიც გაიელვებდნენ ხოლმე, სუყველას თევზის თავისნაირი ნიღაბი ეფარა. გასროლილი ისრის სისწრაფით, როგორადაც ცხოვრებაში არა ხდება, ცაზე ღრუბლები აცურდნენ, და მოქმედებამ ერთბაშად დიდებული შენობა-ნაგებობებით გარშემორტყმულ მოედანზე გადაინაცვლა, სადაც ბერიკაცნი მთელ მუღამს რასმე გადასცემდნენ ყმაწვილკაცთ. თვალთა შიგან ბერიკაცთ სასოწარკვეთილება ჩასდგომოდათ – ისე ჩანდა, თითქოს ცოტაც, და  უძველესი რამ ცოდნა სამუდამოდ დაიკარგებოდა – და ამიტომ იყო, რომ ისინი აგრერიგად ჩქარობდნენ ახალგაზრდებისთვის იმ ცოდნის გაზიარებას.




– შეკრიბე შვიდი და რვა და გაიგებ ჩემს რიცხვს. მე დემონი ვარ, მე ხელი მოვაწერე წიგნს, – წარმოთქვა მავანმა ყმაწვილმა, რომელსაც შუა საუკუნეების დროინდელი ტალავერი ემოსა, და ბრიდას მაშინ მოესმა ეს სიტყვები, როდესაც ავად ახორხოცებულ, მოჯორიაქე უცხო ხალხში აღმოჩნდა, კარგა გვარიანად ნასვამ ქუდოსანთა და მანდილოსანთა შორის. მერე იჩქითად წინ აღემართა უამრავი ზღვისპირა კლდეში ნაკვეთი ტაძარი, ცა კი შავმა, ჩაკუნაპეტებულმა ღრუბლებმა დაფარეს, რომელთაც ხამუშ-ხამუშ ელვის იალ-კიალი ფატრავდა.

და აჩნდა უზარმაზარი, მძიმე რამ კარი – ძველდროინდელი ციხე-დარბაზის კარისნაირი, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა ბრიდას, და ის წინასწარ გრძნობდა, რომ სულ მალე შეაღებდა იმ კარს.

– გამოდი მანდედან, – წარმოთქვა ხმამ.

„გამოდი, გამოდი“, – წარმოთქვა ხმამ ყურმილში.

ეს უიკა იყო, და ბრიდას გული მოუვიდა, რადგან არ უნდოდა ამ ფანტასმაგორიიდან მეწყალსადენეთა და კონსიერჟთა სამყაროში დაბრუნება.

– ერთი წუთი მაცალე, – თქვა ბრიდამ და შეეცადა, რომ კვლავ მოეხილა ის იდუმალი კარი, მაგრამ ამაოდ დაშვრა, ყოველივე თვალის დახამხამებაში გაქრა.

– მე ვიცი, რაც მოხდა, – თქვა უიკამ.

ბრიდა კი გაბრუებული იყო და ვერ გაეგო, რა დაემართა სულ ერთი წუთის წინ.

– ვიცი, – გაიმეორა უიკამ. – მორჩა, მეწყალსადენეზე აღარ ჩამოგიგდებ სიტყვას, მით უმეტეს, რომ ის წინა კვირას უკვე იყო ჩემთან და ყველაფერი შემიკეთა. – და სანამ ტელეფონს გათიშავდა, დასძინა, დათქმულ დროს გელოდებაო.

ბრიდამ გამოუმშვიდობებლად დადო ყურმილი, ის კიდევ დიდხანს იჯდა სამზარეულოს კედელს უაზროდ თვალმიშტერებული და მხოლოდ მერეღა ამოუჯდა გული, შვების მომგვრელი ქვითინი აუვარდა.

– Ეგ ფოკუსი იყო,  – უთხრა უიკამ გულგადატრიალებულ ბრიდას, როცა ორივენი იტალიურ სავარძლებში მოკალათდნენ. – ვიცი, რა დღეშიც ხარ, – განაგრძობდა მასპინძელი. – ხანდახან ხდება: ამა თუ იმ გზისა არა გვჯერა და მაინც დავადგებით ხოლმე, რა არი თავი დავირწმუნოთ, რომ ის ჩვენი გზა არ არის. მაგრამ როგორც კი რაღაც-რაღაც ამბები წაეწყობა ერთმანეთს და გზა თავის ბუნებას გამოაჩენს, წინ ნაბიჯის გადადგმა გვაშინებს.

და დასძინა, ვერ გამიგია, რატომ არის, რომ ძალიან ბევრნი მთელი ცხოვრება იმ გზების დანგრევას უნდებიან, რომელთა მიყოლაც არა სურთო, იმის მაგივრად, რომ ის ერთი გზა აირჩიონ, რომელიც სადაც ჯერ არს იქ მიიყვანდაო.

– ვერ დავიჯერებ, რომ ეს ოინი იყო, – თქვა ბრიდამ.

მასპინძლის საქციელით ერთგვარად შემცბარ ყმაწვილქალს აწ აღარც ძველი ქედმაღლობა ეტყობოდა და აღარც მზერა ჰქონდა გამომწვევი. ამ გასაოცარი მასპინძლის მიმართ განუზომლად  მეტი პატივისცემა იგრძნო.

– ოინი-მეთქი, რომ ვამბობ, სულაც ის არა მაქვს მხედველობაში, რასაც შენ ხედავდი. ოინი ტელეფონით ჩემი ლაპარაკი იყო.

ათასწლეულთა მანძილზე ადამიანი მუდამ იმას ელაპარაკებოდა, ვისიც ან რისიც დანახვა შეეძლო. და ულუმელად, უცებ, სულ ერთი საუკუნის წინათ ცნებები „დანახვა“ და „ლაპარაკი“ გაიყო. ჩვენი გაგებით, უკვე შევეჩვიეთ ამ ამბავს, და არც კი გვესმის, რა უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა ყოველივე ამან ჩვენს რეფლექსებზე. ჩვენმა ტან-სხეულმა უბრალოდ ჯერეთ კიდევ ვერ მოასწრო ამ ამბავთან შეგუება. პრაქტიკული შედეგი კი ის არის, რომ ტელეფონით ლაპარაკისას ხან ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე, რაც ძალიან ჰგავს მაგიურ ტრანსს. სხვა სიხშირეზე მომუშავე ჩვენი გონება ბევრად უფრო ამთვისებელი ხდება უხილავი სამყაროს მიმართ. მე ვიცი ისეთი ხალხი, ვისაც ტელეფონთან მუდამ უდევს ქაღალდი და ფანქარი და ვინმესთან საუბრის დროს ერთი შეხედვით უაზრო რაღაც-რაღაცებს ჯღაბნის.  მერმე კი, როცა ტელეფონი ითიშება, ირკვევა, რომ, როგორც წესი, ეს ნაჯღაბნი თურმე მთვარის ტრადიციის სიმბოლოებია.

– მაშ, ტაროს ბანქო რატომ გამეხსნა?

– მაგ ურთულეს პრობლემას აწყდება სუყველა, ვინც გრძნება-მაგიის შესწავლის მოსურნეა, – მიუგო უიკამ. – გზას რომ გავუყვებით ხოლმე, მეტ-ნაკლებად ვერკვევით, თუ რასთან ან ვისთან შეხვედრა გვენიაზება ამ გზაზე. ქალები, როგორც წესი, სხვა ნაწილს ეძებენ, კაცები – ძლევამოსილებას. ისინი, არც ერთნი, არც მეორენი, სწავლას არ დაგიდევენ, მხოლოდ იმ ადგილს მიელტვიან, სადაც თავიანთი მიზანი ეგულვით.

თუმცაღა გრძნება-მაგიის  გზა, – როგორადაც თვით ცხოვრების გზა, – იყო, არის და მუდამ იდუმალ გზად დარჩება. რისამე სწავლა იმ სამყაროსთან შეხვედრას ნიშნავს, რომელზედაც ადრე არცრა წარმოდგენა არა გქონია, სწავლისთვის კი თვინიერებაა საჭირო.

– და ღამის წყვდიადისთვის თავის მიცემა, – თქვა ბრიდამ.

– ნუ მაწყვეტინებ, – უიკას გაღიზიანება დაეტყო ხმაში, და ბრიდამ იაზრიკვალა, არა, ეგ ჩემს შენიშვნას არ გაუღიზიანებია, რადგან მე მართალი ვარო. „ალბათ, მოგვზეა ნაწყენი“, – გაივლო გულში. იქნებ ოდესმე უყვარდა კიდეც, აკი ერთი ხნისანიც არიან.

– მაპატიე.

– არა უშავს რა, – უიკას, როგორც ჩანს, თავადვე უკვირდა თავისი აპილპილება.

– ტაროზე ლაპარაკობდი.

– ადრე, მაგიდაზე ბანქოს რომ შლიდი ხოლმე, აუცილებლად გახსოვდა, რაც უნდა მომხდარიყო. და ბანქოს თავის საკუთარ თავგადასავალს არ აყოლებინებდი, შენ მუდამ მხოლოდ ის გინდოდა, რომ გაშლილ ქაღალდს ცხადეყო, რაც გეგონა, ვიციო. ტელეფონით რომ დავიწყეთ ლაპარაკი, ეს ამბავი ვიგრძენი. ესეც და ისიც ვიგრძენი, რომ ტელეფონი მოკავშირედ მყავდა. რაღაც გულის გამწყალებელი, მოსაწყენი ლაპარაკი დაგიწყე და თანაც გთხოვე, ბანქოს დახედე-მეთქი. ამის თქმა იყო, და ტელეფონით აღძრულ ტრანსში აღმოჩნდი, ბანქომ შენს მაგიურ სამყაროში გზა გაგითავაზა.

ბოლოს უიკამ, ადამიანებს  ყოველთვის თვალებში უცქირე, როცა ისინი ტელეფონით ლაპარაკობენო, ურჩია. ძალიან ბევრ რასმე საგულისყუროს დაუნახავ თვალებშიო.

**გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-158.**

ფეხბურთი

# დრამწრე ევროპაში



**„ვერდერი“ – „სამპდორიას“ პირველი შეხვედრის უკანასკნელ წუთზე ჯამპიერო პაცინიმ პრესტიჟის გოლი გაუტანა მასპინძლებს და პარტნიორებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა – 1:3.**

გერმანელები რის გერმანელები იქნებოდნენ, ვინმესთვის რაიმე სახის ვალი შეერჩინათ, მით უმეტეს ისეთი, ბრძოლისუნარიანობასა და მორალურ-ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს რომ უკავშირდება.

მეტოქეთა საპასუხო მატჩის მე-13 წუთისთვის იმავე პაცინიმ „დუბლი“ შეასრულა და საერთო ანგარიში გაათანაბრა, ხოლო საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე კასანომ იტალიელები ექსტაზში ჩააგდო – 3:0. სწორედ ამ დროს დაუშვა საბედისწერო შეცდომა გენუელთა თავკაცმა დომენიკო დი კარლომ, რომელმაც საქმე მოთავებულად ჩათვალა და თავისი გუნდის ქირვეული ვარსკვლავი შეცვალა.

მაშინ, როცა „ლუიჯი ფერარისის“ სტადიონზე საყვარელი კლუბის წარმატებისადმი მიძღვნილი ზეიმი დაიწყო, მესამე დამატებულ წუთზე როზენბერგმა მხსნელი გოლი გაიტანა – 1:3, ხოლო ოვერტაიმში (მე-100 წუთიძ პიზაროშ ბრემენელი მუსიკოსები ელიტაში გაიყვანა – 2:3.

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები ბრიუსელში, სადაც „ანდერლეხტმა“ ბელგრადის „პარტიზანს“ ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა – 2:2. ვინაიდან მეტოქეთა პირველი ბრძოლაც ასეთივე შედეგით დასრულდა, ყველაფერი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. ლატარიაში ბედმა სერბებს გაუღიმა.





მოულოდნელად გაიხსნა კვანძი „სევილიასა“ და „ბრაგას“ პირენეულ დუელში. გოლების წვიმაში გადაზრდილი სანახაობა ამჯერადაც პორტუგალიელებმა მოიგეს – 4:3 („ჰეთ-თრიქი“ ლიმამ შეასრულა, პირველი შეხვედრა – 1:0ძ და ფავორიტი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს.

**დანარჩენი შედეგები:** „ჰაპოელი“ – „ზალცბურგი“ 1:1 (3:2ძ, „შერიფი“ – „ბაზელი“ 0:3 (0:1ძ. მოლდოველთა კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი მინდვრიდან გააძევეს.

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა დღეს მოეწყობა.**

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# „შავი ზღვა“ – „ლოკომოტივზე“

**საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივითა და IRB-ის მხარდაჭერით თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო „შავი ზღვის თასის“ პირველი გათამაშება, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობს – „ლელო“, უკრაინის „კრედო 63“, „ბუქარესტი“, „ბათუმი XV“, „ლოკომოტივი“ და რუმინული „არადი“.**

ტურნირი საქართველოს ჩემპიონის – თბილისის „ლელოს“ და ოდესის „კრედო 63“-ის დაპირისპირებით დაიწყო. მატჩის მე-2 წუთზე მასპინძლებმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნეს ანგარიში. თავი ირაკლი ყიასაშვილმა გამოიჩინა. ამის შემდეგ სტუმრებმა რამდენჯერმე სცადეს თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება – 11:7, თუმცა პირველი ნახევარი მაინც დათმეს 7:16. შესვენების შემდეგ „ლელომ“ უპირატესობა გაზარდა და საბოლოოდ 28:10 გაიმარჯვა.

თასის გათამაშების მეორე მატჩში „ლოკომოტივი“ და „არადი“ შეხვდნენ ერთმანეთს. პაექრობა აქაც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ რუმინელებმა მალევე იგდეს ხელთ თამაშის სადავეები და 21:0 დაწინაურდნენ. ქართველმა მორაგბეებმა შესვენებამდე მაინც შეძლეს პირველი ლელოს გატანა.

მეორე ტაიმში რკინიგზელები უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შავლეგ მახარაშვილმა საჯარიმოთი დააწინაურა მასპინძლები 28:27. სამწუხაროდ, ამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს – ერთი წუთის შემდეგ „არადი“ ისევ წინ გაიჭრა – 30:28. თამაში დამთავრებული იყო, „ლოკომოტივმა“ საჯარიმო დარტყმის უფლება რომ მიიღო. მახარაშვილმა ამჯერად მიზანს ააცილა და რკინიგზელებმაც დამარცხებულებმა დატოვეს სარბიელი.

**მომდევნო მატჩები 28 აგვისტოს გაიმართება:** „ბათუმი XV“ – „არადი“, „ბუქარესტი“ – „კრედო 63“. **1 სექტემბერს:** „ბათუმი XV“ – „ლოკომოტივი“, „ლელო“ – „ბუქარესტი“.

**ლექსო ცინცაძე**



ძიუდო

# ექვსიდან – ექვსი!

**ლიეპაიაში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში ხუთი ქვეყნის 400-მდე მოზარდი მონაწილეობდა, მათ შორის – ახმეტელთა ექვსკაციანი დელეგაცია.** ჩვენმა ბიჭებმა იყოჩაღეს და ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ივანე ჭიკაიძე, ლევან დარძული, ზვიად მრელაშვილი, ივანე ჩურჩხელაშვილი და დავით მურთაზაშვილი. ვერცხლის მედალს დასჯერდა მიხეილ ახალაური, რომელმაც ფინალი თანაგუნდელ მურთაზაშვილთან წააგო.



**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# გადასაღებ მოედანზე

**სპორტსმენებს ხშირად იღებენ კინოფილმებში. აი, ახლაც ნბა-ს ვარსკვლავებს – კარმელო ენტონის „დენვერიდან“ და დუაიტ ჰოვარდს „ორლანდოდან“ გადაიღებენ ფილმში კალათბურთის შესახებ. ისინი მიიწვია ცნობილმა ჩინელმა რეჟისორმა ხუ სიუე ხუამ ფილმში „Amazing“ გადასაღებად.** ახალი ფილმი ეკრანებზე მომავალი წლის ზაფხულში გამოვა, გადაღებები კი იწარმოებს ნიუ-იორკში, პეკინსა და შანხაიში. ის ნოემბერში დაიწყება. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი აზიელი მსახიობები.





აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ფილმოგრაფია აქვს სკანდალურად ცნობილ კალათბურთელ დენის როდმანს. კერძოდ, მან მთავარი როლი შეასრულა ფილმში „კოლონია“, სახელგანთქმულ მსახიობ ჟან-კლოდ ვან დამთან ერთად.

ინტერნეტიდან

## მკვლელი მსაჯი

**ბრაზილიის, სეარას შტატის მთავრობამ გამოაცხადა ფეხბურთის მსაჯის ფრანსისკო ჩავესის ძებნა. მან მინდორზე ატეხილი ჩხუბის დროს დანით სასიკვდილოდ დაჭრა მატჩში მონაწილე ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელი.**



ინციდენტი მოხდა მოყვარულთა გუნდების „რედენსაოსა“ და „ბოა-ფეს“ შეხვედრისას მას შემდეგ, რაც არბიტრმა ერთ-ერთ ეპიზოდში ჯარიმა დანიშნა სტუმართა სასარგებლოდ. „ბოა-ფეს“ ფეხბურთელმა ფრანსისკო და სილვამ წიხლი ჩაარტყა მსაჯს და მინდორზე ჩხუბი ატყდა, რომლის დროსაც ჩავესმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ფრანსისკოს ძმას – ჟოზე და სილვას. დაიჭრა ფრანსისკოც. მსაჯმა მიმალვა მოასწრო.

## ინდოეთში ანანდს არ ცნობენ

**მთელი სამყარო იცნობს მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში, დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ანანდის ინდოელობაში ეჭვი შეიტანა ამ ქვეყნის ადამიანური რესურსების სამინისტრომ.**

ქალაქ ჰაიდარაბადის უნივერსიტეტმა გადაწყვიტა მოჭადრაკისთვის მათემატიკის დოქტორის ხარისხის მინიჭება, თუმცა ხელისუფალთ ეს არ მოეწონათ. მათ ეჭვი შეეპარათ, რომ ანანდი, 1983 წლიდან მსოფლიო საჭადრაკო არენაზე ამ ქვეყნის ღირსებას რომ იცავს, არის თუ არა ინდოეთის მოქალაქე. მოჭადრაკის პირად საქმეს უკვე რამდენიმე დღეა სამინისტროში განიხილავენ. ამის გამო გადაიდო საერთაშორისო მათემატიკურ კონფერენციაზე მისი დაჯილდოება.



ინდოეთის ხელისუფლება დააბნია იმ ფაქტმა, რომ ბოლო წლებში ანანდი ესპანეთში ცხოვრობს. თუმცა მას წარუდგინეს ანანდის პასპორტის ასლიც. უნივერსიტეტმა კი საქმის გაჭიანურების გამო ბოდიში მოუხადა მოჭადრაკეს.

## რაფაელი კინოში მიდის

**პოპულარულმა ისრაელელმა მოდელმა ბარ რაფაელიმ, რომელიც ცნობილია, როგორც კალათბურთის დიდი მოყვარულიც, წარადგინა 2011 წლის საზაფხულო საბანაო კოსტიუმების ახალი კოლექცია.**



გადაღება მიმდინარეობდა ჰოლივუდის ერთ-ერთი დიდებული შენობის – Stahl House – ფონზე, რომელიც რამდენიმე ფილმშიც ჩანს, მათ შორის ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად ფილმში „დამიჭირე, თუ შეგიძლია!“

შეგახსენებთ, რომ რაფაელი ამ ცნობილ მსახიობს 2005 წლიდან ხვდებოდა. 2011 წლიდან რაფაელის კინოში გადაიღებენ. მას მოელის ტრილერში Session მონაწილეობა, ის კი თავის კლიენტზე შეყვარებულ ფსიქოლოგზე მოგვითხრობს.

SIC!

# ზუგდიდის საპყრობილესთან ადვოკატებს სიცხესა და წვიმაში აყურყუტებენ

**ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში, სადაც 300-მდე პატიმრის ადგილია, სასჯელს 500 ტუსაღი იხდის. ერთ საკანში 10-ის ნაცვლად 15-20 პატიმარია. მათი მდგომარეობა ასეთ პაპანაქებაში სიცხეში ორმაგად მძიმდება.**

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟის მქონე, გამოცდილი პიროვნება, რომელმაც, გასაგები მიზეზების გამო, ვინაობის გამხელა არ ისურვა:**

„საპყრობილეებში პატიმრების ცემა, დაცინვა, შევიწროება ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ კი ვინმე არ მოსწონთ, მას მაშინვე გაუგონარ შეზღუდვებს დაუწესებენ, შეუწყვეტენ ამანათის მიღების უფლებას, აუკრძალავენ პაემანს. ნაკლებად მძიმე დანაშაულზე მსჯავრდებულნი, რომელთაც მისჯილი აქვთ 1,5 წლამდე, არ გაჰყავთ კოლონიის ტიპის დაწესებულებებში და სასჯელს ბოლომდე საპყრობილეში იხდიან. ჩვენ არ ვიცით, რა მიზნით არის დანიშნული სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრად ქალბატონი ხათუნა კალმახელიძე, მაგრამ ამ სფეროში მას ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია! რამდენიმე თვის წინათ მან მიიღო ბრძანება ადვოკატთა უფლებების დაცვისა და მათ მიმართ მუშაობის ხელშეწყობის შესახებ. ამ ბრძანების მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ ადვოკატი ერთ პატიმარს რომ შეხვდება, მას უფლება არა აქვს შეხვდეს მეორეს! იგი უნდა გამოვიდეს საპყრობილიდან და თვითონ ჩადგეს რიგში, ნუთუ ქალბატონ ხათუნასთვის ცნობილი არ არის, რომ ზუგდიდის საპყრობილეში ეგრეთ წოდებული „მისაღები" ორად-ორი კაბინეტია და იგი ემსახურება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის პროკურორებს, გამომძიებლებს და ადგილობრივ თუ ჩამოსულ ადვოკატებს. არც ის შეუმჩნევია ქალბატონ მინისტრს, რომ ადვოკატებს, სიცხეში, წვიმასა და თოვლში ღია ცის ქვეშ უხდებათ რიგში დგომა? კარგს იზამდა მინისტრი, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით საერთოდ გაჩუმდებოდა! — პრინციპულად ამბობს სამართალდამცველი.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

იცოდით?

# ჰიტლერი ებრაელიც ყოფილა

## ეს დადასტურდა დნმ-ს გამოკვლევით



**მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენა მოახდინეს: ადოლფ ჰიტლერის ამჟამად ცოცხალი ნათესავების დნმ-ის შესწავლამ აჩვენა, რომ ფიურერის სისხლში დუღდა ებრაელებისა და შავკანიანთა სისხლი, რომელთა განადგურებაც ნაცისტური გერმანიის მეთაურის აკვიატებული იდეა იყო მისი მართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.**

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევის ძირითადი მიზანი, რაც დაკავშირებული იყო დიქტატორის დნმ-ის შესწავლასთან, გახლდათ არა მისი ფესვების განსაზღვრა, არამედ ჰიტლერის ფრანგი გლეხისგან შობილი შვილის არსებობის ფაქტის საბოლოო გარკვევა.

აღმოჩენა გახდა გამოკვლევის შედეგი, რომლის ინიციატორი იყო გერმანიის გამოცემა „კნაკის" ჟურნალისტი ჟან-პოლ მალდერსი. მთლიანად, ისტორიკოსების დახმარებით, რეპორტიორმა მოძებნა ჰიტლერის 39 ნათესავი, ვისგანაც აიღეს დნმ-ის ნიმუშები. მაგალითად, ჟან-პოლ მალდერმა აიღო ავსტრიელი ფერმერის ხ. ნორბერტის ნერწყვის ნიმუში — იგი ჰიტლერის შორეული ნათესავია. ამას გარდა, ჟურნალისტმა შესძლო გერმანელი დიქტატორის 3 ნათესავის მონახვა ნიუიორკშიც და მიიღო ერთ-ერთი მათგანის ნერწყვის ნიმუშიც. გამოძიებამ გვერდი ვერ აუარა კურიოზსაც, რომელიც დეტექტიურ რომანებს შეესაბამება — ჰიტლერის ერთ-ერთი ნათესავის **დნმ** რომ მიეღო, მალდერსმა გამოიყენა ხელსახოცი, რომელიც გადააგდო ჰიტლერის ძმისწულმა ალექსანდრ სტიუარტ-ჰიუსტონმა.

ნიმუშის ანალიზის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადოლფ ჰიტლერს ჰყავდა შვილი, რომელიც შობა ფრანგმა გლეხმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს. როგორც ჟურნალისტმა განაცხადა, „ეს კავშირი ურყევია, y-ქრომოსომები აბსოლუტურად იდენტურია". როდესაც ასეთი უნიკალური მასალები მიიღეს, მკვლევარებმა არ დაახანეს შეესწავლათ ტირანის წარმომავლობაც. ამ ქრომოსომების ანალიზმა მკვლევარები მიიყვანა კიდევ უფრო სენსაციურ შედეგთან. მეცნიერებმა აღმოაჩინეს E 1b 1b გაპლოჯგუფი, რომელიც პრაქტიკულად არ გვხვდება გერმანიასა და დასავლეთ ევროპაში. ეს გაპლოჯგუფი წარმოიშვა აფრიკაში და ხშირად გვხვდება ებრაელებში. ამას გარდა მსგავსი დნმ-ის მატარებლები ცხოვრობენ მაროკოს, ალჟირისა და ტუნისის ტერიტორიებზე, იტყობინება **„ინდეპენდენტ ნიუსი"**.

ხსოვნა

# მერი მესხიშვილი

ღვაწლმოსილ ქართველოლოგთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ჩუმი და რუდუნებით მშრომელი მუშაკი, ისეთი, რომელზეც ძველი ქართველები იტყოდნენ: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა"... და ამ „სასყიდელში" მისი საზოგადო დაფასება და სიყვარული იგულისხმებოდა.

მერი ვასილის ასული მესხიშვილი დაიბადა 1923 წლის 29 აპრილს ქალაქ თბილისში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება და ფართო ფილოლოგიურ ცოდნასთან ერთად შეისწავლა ძველი ენები. განსაკუთრებით კარგად დაეუფლა იგი ძველ სომხურ ენას და ამ სფეროში შესანიშნავი ექსპერტი გახლდათ თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. მ. მესხიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1945 წელს, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გ. სუნდუკიანი და ქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგია მის ნაწარმოებებში" დაიცვა 1951 წელს.



იმის მიუხედავად, რომ მერი მესხიშვილს სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო მიღწევების ფართო პერსპექტივა ჰქონდა, მას სადოქტორო ხარისხი აღარ დაუცავს, ვინაიდან ამ დროიდან, ანუ ახალგაზრდობის წლებიდანვე, იგი მთელი არსებით ჩაება იმ მასშტაბურ ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში, რომლებსაც აკად. არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1950 წლიდან მერი მესხიშვილი მუშაობას იწყებს ლექსიკოლოგიის განყოფილებაში და ამის შემდეგ თავისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა ამ განყოფილებას; იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულის მასალების სარედაქტოროდ მომზადებაში და მისი მაღალი კვალიფიკაცია საფუძველი გახდა იმისა, რომ მას მიანდეს მე-6 ტომის რედაქტორობა (თ. შარაძენიძესთან ერთად). როგორც ცნობილია, ამ დიდი ეროვნული ლექსიკონის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის მ. მესხიშვილი 1971 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მთელ სარედაქციო ჯგუფთან ერთად).

განმარტებითი ლექსიკონის სრულმასშტაბიანი სამუშაოები არა მხოლოდ მწიგნობრული ძეგლების გამოწვლილვას მოასწავებდა, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩნდა ქართული დიალექტების მდიდარი ლექსიკური მარაგის გამომზეურება, ვინაიდან, განმარტებითი ლექსიკონის კონცეფციით, დიალექტური (დარგობრივი) ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის სარეზერვო ფონდად იქნა აღიარებული. შეიძლება ითქვას, მერი მესხიშვილი სტუდენტობიდანვე ჩაება იმ დიდ საძიებო კამპანიაში, რომელიც ქართველური ლექსიკის სრულ „მობილიზაციას" ისახავდა მიზნად. განსაკუთრებული წვლილი მ. მესხიშვილს მიუძღვის ქართლური (შიდა და შუა ქართლის) ლექსიკის ოქროს მარაგის გამოვლენაში. მის მიერ მომზადებული (თ. ბეროზაშვილსა და ლ. ნოზაძესთან ერთად) „ქართლური დიალექტის ლექსიკონი", რომელიც ჯერ კიდევ 1960-იანი წლებისთვის ყოფილა მზად და მხოლოდ 1981 წელს გამოიცა, ერთ-ერთი საუკეთესოა ამგვარ ლექსიკონებს შორის. საგულისხმოა, რომ ამ ლექსიკონშიც კი მ. მესხიშვილის ხელთ არსებული მთელი მასალა ვერ ასახულა და მოგვიანებით მან კიდევ ერთი ლექსიკონი მოამზადა: „ქართლურის ლექსიკონი (მასალები)", 2006.

ამ ლექსიკონის წინასიტყვაობაში მ. მესხიშვილი კვლავ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სამომავლო სამუშაოებისა და მისი „სარეზერვო ფონდის" შექმნაზე მსჯელობდა.

ქალბატონმა მერიმ ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ლექსიკოლოგიის განყოფილების სხვა არაერთ მნიშვნელოვან ლექსიკოლოგიურსა და ლექსიკოგრაფიულ სამუშაოში მიიღო აქტიური მონაწილეობა, კერძოდ:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ინვერსიული ლექსიკონი, 1967;

ქეგლის ერთტომეული, 1986;

„ვეფხისტყაოსნის" ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, 1973;

ქალბატონმა მერიმ ასევე მისთვის დამახასიათებელი თავდადებით იმუშავა ქეგლის რვატომეულის ე. წ. დამატებით ტომზე, რომელიც, მართალია, ცალკე ლექსიკონად არ გამოცემულა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა ქეგლის ახალი რედაქციის მოსამზადებლად.

ქალბატონი მერი მესხიშვილი იყო მაღალი რანგის პროფესიონალი, ჩინებული კოლეგა, გულთბილი ადამიანი და მეგობარი, რომელიც დიდად დააკლდა თავის სამეცნიერო ოჯახს.

ნათელი — მის ხსოვნას!

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ინფორმაცია

# კოკოითის ძმას აფხაზეთში „შეძენილი" ქონება წაართვეს

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის ძმას, რობერტ კოკოითს აფხაზეთში შეძენილი ქონების დაბრუნებაზე უარს ეუბნება. ამის შესახებ ერთ-ერთი ოსური მედია იუწყება.**

მათი ინფორმაციით, როდესაც რობერტ კოკოითი აფხაზეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ელჩის თანამდებობაზე იმყოფებოდა, მან შავი ზღვის სანაპიროზე ქონება შეიძინა, თუმცა ე.წ. დიპლომატიური საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ ოს სეპარატისტთა ლიდერის ძმის ქონების კონფისკაცია მოახდინა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა ქონების დაკანონებაზე უარი რუსულ მხარესაც განუცხადეს.

ჯი-ეიჩ-ენი

„ბაყაყური" ეკონომიკა



— ეეე! გახსოვს, მიხო, რა საამური ყიყინი ისმოდა ხოლმე ამ ტბიდან!

რევაზ ტყემალაძის ნახატი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

# განცხადება აქტივების რეალიზაციის შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აქტივების რეალიზაციას:**

1. ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე), იყიდება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ მოსათხოვი თანხის 50 პროცენტში.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) შეფასებული ღირებულების 50 პროცენტში.

- ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (მშენებარე) 398.80 კვ.მ., ფასი — 35500 ლარი.
- ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №178, მიწის ნაკვეთი 350 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) ფართი 210 კვ.მ. ფასი — 66750 ლარი.
- ქობულეთის რაიონი სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი — 5 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა) ფართი — 465 კვ.მ., ფასი — 52250 ლარი.

3. სატელეფონო სადგური — Alkatel 1000 C12 (4 000 აბონენტზე);

4. ბანკის საკუთრებაში არსებულ სს „მშენებლის", სს „ბათუმსპეცმონტაჟის", სს „უქსოვადი ქსოვილების", სს „ტრანსფორმატორის და ელექტროხელსაწყოს", სს „ინტურისტის", სს „ქობულეთის ჩაის", სს „სტამბის", სს „აჭარწიგნის" და სს „ბათუმის" ტყავის ქარხნის აქციებს.

**მისამართი: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №33.**

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელ: 7-60-03, 899-51-13-82.**

**სალიკვიდაციო კომისია**
**ლიკვიდატორი რ. ცაციაშვილი**

## დაიჯესტი



### „პიზის გოდოლის“ ეფექტი

**გამვლელი ლონდონელები გაოცებისგან თვალებს იფშვნეტენ: სახლი ვარდება!** თუმცა რომ დააკვირდებიან, ხვდებიან, რომ შენობას არაფერი სჭირს, უბრალოდ „პიზის გოდოლის“ ეფექტს მთელ ფასადზე გადაჭიმული უზარმაზარი სურათი ქმნის. ტილოს მიღმა კი... ჩვეულებრივი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

### „თოვლის ჩექმა“



**ჩექმის მსგავსი სახალისო მანქანა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნეს და იგი ერთი კაცის ტალღებზე, თოვლსა და ყინულზე მგზავრობისთვისაა განკუთვნილი.** მოძრაობისას მანქანა ზედაპირიდან 30 სანტიმეტრით ზევით იწევს, მას არც საკმაოდ დიდი ტალღებისა „ეშინია“, თუმცა მათი სიმაღლე სამნახევარ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. წყნარ ამინდში მას მდინარეებზე, დათოვლილ მინდვრებსა და გაყინულ ტბებზე საათში 80 კილომეტრის სიჩქარით შეუძლია მოძრაობა. საგულისხმოა ისიც, რომ „თოვლის ჩექმის“ ფასი ჩვეულებრივი მცირეგაბარიტიანი ავტომანქანის ფასს არ აღემატება.

### სპეცძაღლი



სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, ფაქტობრივად, ყველა თანამედროვე ჯარის შემადგენლობაში შედის, თუმცა მათი დანიშნულება და წვრთნის მეთოდოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდება, ზოგჯერ მნიშვნელოვნადაც. ფოტოსურათზე აღბეჭდილია სპეციალური დანიშნულების რაზმის სამსახურში მყოფი ძაღლი, რომელიც 30-გრადუსიან ყინვაში თავის გამყოლთან ერთად წვრთნის დროს თვითმფრინავიდან სამი ათასი მეტრის სიმაღლიდან ხტება.

### ტელეფონს პლუს ავტომანქანა



**მანქანაში ტელეფონი ჩვენს დროში აღარავის უკვირს, მაგრამ ტელეფონის ფორმის მანქანისა რა მოგახსენოთ... არადა, პროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ იდეა არცთუ აბსურდულია.** უჩვეულო ავტომანქანა – ეს ტელეფონის ჯიხურია, რომლითაც პარიზის ერთ-ერთი გარეუბნის მოსახლეობა დიდი ხალისით სარგებლობს.

### ონკანი – შადრევანი



**ეს არც მისტიფიკაციაა, არც ფოტოკოლაჟი. ფოტოზე კანარის კუნძულებზე ერთ-ერთი კურორტის შადრევნის ორიგინალური კონსტრუქციაა აღბეჭდილი. მრავალჯერ გადიდებული წყლის ონკანი მილსაა მიმაგრებული, რომლითაც წყალს ზემოთ ტუმბავენ.** კონსტრუქციის ეფექტურობა კი ისაა, რომ ონკანისა და მილის შეერთების ადგილი თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველია.

### თქვენთვის, შიშველო მელომანებო!



**უკვე რამდენიმე წელია, რაც მელბურნში აუდიოდისკების ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელი თავის მყიდველებს... ნუდისტის დღეს უწყობს.** ყველას, ვინც მის მაღაზიაში დედიშობილა შევა, მისტერ სმიტი ერთი დისკის უფასოდ არჩევის უფლებას აძლევს. შარშან შემოდგომაზე, არნახული სიცხის გამო, მოხერხებულ ვაჭარს მაღაზიაში ერთბაშად 70 შიშველი მელომანი ეწვია. თუმცა, ამის გამო სამართალდამცველთა გამოძახება საჭირო არ გახდა: პირველი, ვინც სავაჭრო დარბაზში შევიდა და საჯაროდ ტანთ გაიხადა... პოლიციელი ქალი იყო.

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი

### 26 აგვისტო

**წარგზავნა უფლის ფერისცვალების დღესასწაულისა. ღირსისა მაქსიმე აღმსარებლისა, (662წ; მოწამეთა: იპოლიტესი, ირინეოსისა, აბუნდისა და კონკორდიასი, რომში წამებულთა (258წ; ტიხონისა, ზადონელი სასწაულმოქმედისა (1783წ; ღირსთა: დოროთესი, ამბა სერიდის სავანის მკვიდრისა ( 620წ და მორჩილისა მისისა დოსითესი (VIIწ.**



ამოდის 05.20
ჩადის 18.45



ამოდის 19.07
ჩადის 06.54

### დაიბადნენ:

**1581 – ფრანც ჰალსი,** ჰოლანდიელი ფერმწერი.
**1743 – ანტუან ლავუაზიე,** ფრანგი ქიმიკოსი.
**1918 – ელენე გოკიელი,** ცნობილი მძლეოსანი.

### გარდაიცვალნენ:

**1850 – ლუი ფილიპი,** საფრანგეთის მეფე.
**1982 – ანა გერმანი,** პოლონელი მომღერალი.
**1983 – მიკ კელინი,** ამერიკელი მსახიობი.

### მოვლენები:

**1124** – ქართველთა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით თურქ-სელჩუკთაგან გაათავისუფლა ქალაქი ანისი და მისი მიმდგომი ციხეები.

**1346** – გაიმართა კრესის ბრძოლა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა ასწლიანი ომის ისტორიაში. ინგლისელთა ჯარმა დაამარცხა საფრანგეთის არმია.

**1812** – გაიმართა ბოროდინოს ბრძოლა. საფრანგეთის არმიამ ნაპოლეონის მეთაურობით დაამარცხა რუსთა ლაშქარი.

**1833** – ინდონეზიაში ამოხეთქილმა ვულკანმა 200 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**1918** – მარტყოფის მონასტერში მოკლეს კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში.

**1948** – დაარსდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

**1972** – მიუნხენში გაიხსნა XX ოლიმპიური თამაშები.

**1974** – გვინეამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

#### ღირსსახსოვარი დღეები

**აშშ** – ქალთა თანასწორობის დღე.
**ნამიბია** – ეროვნული დღე.
**ზანზიბარი** – სულთნის დაბადების დღე.

მედიანიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +25 |
| ქუთაისი. | +23 – +36 |
| ბათუმი. | +19 – +27 |
| ზუგდიდი. | +19 – +32 |
| თელავი. | +16 – +29 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8283 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3229 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8426 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## ფოტოფაქტი



გცხელათ? მაშ რა უნდა ქნას უიშვიათესი ჯიშის სახედარმა ბოდე-დე-პუატუმ! წელიწადში მსოფლიოში იბადება მხოლოდ 50 ასეთი ჩოჩორი, და 1,5 წლის განმავლობაში ისინი თავიანთი თანამოძმეებისგან არ გამოირჩევიან, შემდეგ კი იწყებენ გათმებიანებას!

## ანეკდოტები



– მომილოცავს, როგორც გავიგე, მემკვიდრე შეგძენიათ! – ეუბნება შეფი თავის თანამშრომელს.

– დიდი მადლობა, მაგრამ ჩემი ხელფასის პატრონს არა მგონია მემკვიდრე ჰყავდეს, მე შეიძლება მხოლოდ ბავშვები მყავდეს.

* * *

ტიპი სამოთხის კარზე აბრახუნებს. ნამძინარევი წმინდა პეტრე აღებს კარს:

– რა გინდა?

– სამოთხეში მინდა მოხვედრა.

– რა სიკეთე გაქვს გაკეთებული ცხოვრებაში?

– მივდივარ ქუჩაში და ვხედავ, რომ სამი ახმახი გოგოსთვის ხელჩანთის წაგლეჯას ცდილობს. მივედი და ერთ მათგანს ისე ვხეთქე სახეში!..

– ყოჩაღ, როდის მოხდა ეს?

– ამ ხუთიოდე წუთის წინათ...

* * *

– გმადლობთ, ჩემო ბატონო!

– პირიქით, თქვენ დიდი მადლობა.

– არა, თქვენ.

– ჭირსაც წაუღიხართ თქვენი მადლობებით, საკუთარი ვერსად წამიღია.

* * *

საწარმოო ტანვარჯიში ბანკის თანამშრომელთათვის რადიოთი:

– ფეხები მხრების საგანზე, ხელები – თავს უკან, სახით – კედლისკენ...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.